ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 24 ნოემბერი, 2023 №232 (9268) ფასი: 80 თეთრი

ქართველმა პოლონეთში კბილის პასტა მოიპარა

გვ.3

„სააკაშვილს თავისი თვალით რომ ენახა, ნაციონალებში რა მდგომარეობაა, ახალ პარტიას შექმნიდა“

გვ.2

ბაჩო დოლიძე: „თუ ჩვენ მოგვიწია დამოუკიდებლად მოქმედება, ახალი პოლიტიკური პლატფორმის გაკეთება, არავისთან შერწყმა საჭირო არ არის!“

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი, მიხეილ სააკაშვილის ამომრჩეველია“



გვ.3

„ნიკა მელია თავის პოზიციებში აიხლართა“

ოკუპირებულ აფხაზეთში საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაემტერნენ

გვ.4

გვ.4

რუსეთი უკრაინაში რევოლუციას გეგმავს?

ამგები აფხაზეთის ომიდან

„ქიული შარტავამ სოხუმის დასაცავად მაშველი ითხოვა, რომელსაც ათი დღე ველოდით“

გვ.5

თინა ბოკუჩავა: „ქართული ოცნება“ ბიძინოვას აღნიშნავს და სკოლის სახელმძღვანელოებში შეაქვს ეს თარიღი“

გვ.2

გვ.5

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

3 შალვა პაპუაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი სრულად გასულია კონსტიტუციური ჩარჩოებიდან“

3 ევროპარლამენტმა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ თამაზ გინჭურის მკვლელობასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო

4 რას ყიდის და ყიდულობს საქართველო ისრაელისგან

6 ჯონ კენედის დაღუპვიდან 60 წელი შესრულდა

1993230720223

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სააკაშვილს თავისი თვალით რომ ენახა, ნაციონალებში რა მდგომარეობაა, ახალ პარტიას შექმნიდა“

ბაჩო დოლიძე: „თუ ჩვენ მოგვიწია დამოუკიდებლად მოქმედება, ახალი პოლიტიკური პლატფორმის გაკეთება, არავისთან შერწყმა საჭირო არ არის!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის წევრი ბაჩო დოლიძე პასუხობს

– ბაჩო, 20 წელი გავიდა „ვარდების“ რევოლუციიდან. ნაციონალური მოძრაობის მანიფესტს ბევრი ელოდა. იყო მოლოდინი, რომ ბევრი რამ გაირკვეოდა და დალაგდებოდა ნაცმოძრაობაში. თუმცა, კიდევ მეტი გაურკვევლობაა. რას აპირებს ნიკა მელია და მისი გუნდი? მოაწერეთ ხელს? საერთოდ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ მანიფესტთან დაკავშირებით?

– მანიფესტზე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ის არ ასახავს პრობლემების მოგვარებას. ცალკე აღებული პუნქტები შიძლება კარგი იყოს, მაგრამ აქ მთავარი საკითხი ცალკე აღებული პუნქტები ხომ არ არის?! ქვეყანა რომ დემოკრატიული გზით უნდა ვითარდებოდეს და კორუფცია რომ არ უნდა იყოს, ეს კარგია და გასაგები, მაგრამ პრობლემების მოგვარების გზა აქ არ არის ნაჩვენები. ეს სამწუხაროა. ჩვენი მხრიდან შეთავაზება გაკეთებულია, რომელსაც 40 ათასი ადამიანი აწერს ხელს, სადაც ჩვენი ხედვებია წარმოდგენილი, თუ როგორ შეიძლება თეორიულად მაინც ერთობის შენარჩუნება. მე არ ვიცი ყრილობაზე მოხდება-არ მოხდება განხილვა აღნიშნული შეთავაზების. ის, რაც მიხეილ სააკაშვილის გვერდზე დაიწერა, ეს არის შემდეგი, რომ მანიფესტის გაკეთების შემდეგ, ყველა მხარემ წარმოადგინოს თავისი წინადადება. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს. მე იმედს ვიტოვებ, რომ განხილვის ღირსი მაინც იქნება ეს დოკუმენტი, რომელსაც 40 ათასი ადამიანი აწერს ხელს.

– ვინც ეს მანიფესტი წაიკითხა, დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ის ორი ჯგუფის შედგენილია?

– მანიფესტის ბოლო პასაჟში თავად სააკაშვილმაც კი განაცხადა, რომ გარიყული არიან ადამიანები პოლიტსაბჭოდან, რომ ეს გადაწყვეტილება ნაჩქარევი იყო. ახლა კი არის მცდელობა, რომ ეს საკითხი გადაიფაროს. ჩვენ გვინახავს წაშლილი პოსტები და საერთოდ არ გამიკვირდება, რომ მანიფესტში განსხვავებული აზრი დამატებული იყო კონკრეტული ჯგუფის მიერ, საკუთარი, ვიწრო ინტერესების გათვალისწინებით.

– რა პროცესს ვუყურებთ ეხლა? სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ აქტიურად დაბრუნდეს პარტიის ცხოვრებაში და სადავეებიც თვითონ აიღოს ხელში? რა ჩაიფიქრა მიშამ და რამდენად გაჰყვება მას კეზერაშვილ-მერაბიშვილის ფრთა?

– როდესაც ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებული ქვეყნის მესამე პრეზიდენტის მხრიდან, რომელიც ამბობს, რომ პოლიტიკური საბჭო კოორდინაციას არღვევს, შეიძლება ვიღაცამ ასე წაიკითხოს, რომ არ ენდობა იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს სათავეში უდგანან პარტიის ამა თუ იმ მიმართულებას. მე ასე ვხედავ ამ ყველაფერს. ადამიანი, რომელიც ოთხ კედელშია გამოკეტილი და ის თავის თავზე იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, მე მგონი ეს ძალიან მკაფიო გზავნილია, რომ ის, ვინც ახლა მართავს პარტიას, მათ იმედად ყოფნა არ შეიძლება! არადა, ახლა პარტია ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, რომ პირიქით, მხარში უნდა ედგეს ამ მდგომარეობაში მყოფ სააკაშვილს. ჩვენ კი ვხედავთ საპირისპიროს, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მისი სახელი გამოიყენონ.

– ამას მიხეილ სააკაშვილი მიხვდა?

– დარწმუნებული ვარ, რომ მიხვდა. გარეთ რომ ყოფილიყო მიხეილ სააკაშვილი და ჰქონოდა შესაძლებლობა, სრულფასოვნად ინფორმაციაც მიეღო და თავისი თვალით ენახა, თუ რა ხდება პარტიაში და რა პროცესებთან გვაქვს საქმე, საერთოდ არ გამიკვირდებოდა, ამათ შემხედვარეს, თვითონ შეექმნა ახალი პოლიტიკური პარტია.

– რას აპირებთ? ვინც არ მოაწერს ხელს მანიფესტს, ის დარჩება პარტიის მიღმა.

– ცოტა საფრთხილოა ასეთი განცხადებების გაკეთება. შეიძლება ძალიან ბევრმა ადამიანმა არ მოაწეროს ხელი – ათი ათასობით ადამიანმა. ძალიან ბევრმა ისეთმა ადამიანმა, რომელსაც არანაკლები წვლილი მიუძღვის ამ პარტიის მშენებლობაში. მერე რას შვრებიან, ყველას რიცხავენ?! ამიტომ არ მგონია, ასე მოხდეს.

– მიდიხართ შეკრებაზე?

– ამ შეკრებაზე წასვლა შეიძლება გარკვეული დისონანსის გამომწვევი იყოს. ჩვენ თუ წასვლასთან დაკავშირებით მივიღებთ გადაწყვეტილებას, მაშინ რამდენიმე ასეული ადამიანი გამოგვყვება და ეს შეიძლება დისონანსის შეტანის საფუძველი გახდეს, რაც ნამდვილად არ გვინდა. იმედია, ჩვენს არმისვლასაც სწორად გაიგებენ.

– 20 წელი გავიდა „ვარდების“ რევოლუციიდან. რამდენად დგას დღეს ნაციონალური მოძრაობა იმ ღირებულებებზე, რა ღირებულებებითაც 20 წლის წინ მოვიდა ქვეყნის სათავეში?

– ძალიან შორს არის მაგ ღირებულებებისაგან. მოსახლეობამ, რომელმაც მხარი დაუჭირა რევოლუციას, უნდოდა ცვლილებები და ხედავდა მკაფიო ალტერნატივას. დღევანდელ დღეს, სამწუხაროდ, პარტია ამას ვერ ასხივებს. პირიქით, მისი მართვის მოდელი ძალიან ჰგავს „ქართული ოცნების“ მართვის მოდელს. ისინი ვერ დადებენ ისეთ შედეგს, რომელიც ამ პოლიტიკურ ვითარებას შეცვლის. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ დავიჭიროთ პრინციპული პოზიცია.

– ბრძანეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა რევოლუციით მოვიდაო. ახლაც ვისმენთ შეფასებებს, რომ პარტიის მმართველებს დღესაც რევოლუცია უნდათ. რამდენად არის ახლა რევოლუციების დრო?

– ამ აზრისგან მე ძალიან შორს ვარ! ძალიანაც რომ გინდოდეს, დღეს მაგის შესაძლებლობა უნდა გაგაჩნდეს. რევოლუცია ვერ იქნება რომელიმე პარტიის ან მისი ლიდერების ინიციატივა, ეს არის საზოგადოების განწყობა. საზოგადოების განწყობა კი როგორია, ჩემზე კარგად იცით. 2024-ის არჩევნები მოდის, რა რევოლუციაზეა ლაპარაკი?!

– რას აპირებს ნიკა მელია და მისი გუნდი? როდის მიიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას? დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არც შეკრებაზე მიდიხართ.

– შეკრებასთან დაკავშირებით, ასე მგონია, რომ არ იქნება სწორი ჩვენი მისვლა. რაც შეეხება საბოლოო გადაწყვეტილებას, მე მგონია, რომ დიდხანს ეს ნამდვილად ვერ გაგრძელდება. შესაბამისად, უმოკლეს ხანში მოხდება ჩვენი მხრიდან პოზიციის ჩამოყალიბება. დაველოდოთ რამდენიმე დღე.

– რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს მიხეილ სააკაშვილს?

– გამომდინარე იქედან, რომ 10 წელი დასჭირდა სალომე ზურაბიშვილს იმის გასაცნობიერებლად, რომ ამ ქვეყანაში ოლიგარქი და ერთადერთი ბარიერი ევროინტეგრაციის გზაზე ბიძინა ივანიშვილია, არ მგონია, ახლა გაითავისოს ის აზრი, რომ პოლიტიკური პატიმრები არ უნდა გვყავდნენ ქვეყანაში! აქედან გამომდინარე, იმის იმედი, რომ ზურაბიშვილი ამ კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს, არ მაქვს!

– წინ არჩევნებია და 5%-იანი ბარიერი გადასალახი. ყველა მოუწოდებს პატარა პარტიებს გაერთიანებისკენ. თუკი ცალკე წავიდა ნიკა მელიას გუნდი, სად და ვის გვერდით ხედავთ თქვენს ადგილს?

– იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოგვიწია დამოუკიდებლად მოქმედება, ახალი პოლიტიკური პლატფორმის გაკეთება, ჩემი ღრმა რწმენით, არავისთან შერწყმა საჭირო არ არის! თანამშრომლობა პროდასავლურ პარტიებთან, კი ბატონო, მაგრამ ცალკე გასვლის შემთხვევაში, იმის ამბიცია ნამდვილად გვაქვს, რომ ბარიერის დაძლევაზე ლაპარაკიც კი არ იყოს.



პრეზიდენტი: „ევროპამ საქართველოს მიმართ კიდევ ერთხელ აჩვენა ურყევი მხარდაჭერა“

საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი ევროპარლამენტის მიერ თამაზ გინტურის მკვლელობასთან დაკავშირებით რეზოლუციის დამტკიცებას გამოეხმაურა.

როგორც სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, ევროპამ საქართველოს მიმართ კიდევ ერთხელ აჩვენა ურყევი მხარდაჭერა.

– ევროპა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს მიმართ ურყევ მხარდაჭერას. მადლობელი ვარ, თამაზ გინტურის მკვლელობასთან დაკავშირებით ევროპარლამენტის დასკვნითი რეზოლუციისთვის, რომელიც ხაზს უსვამს საერთაშორისო საზოგადოების როლს იმ გამოწვევებთან დაპირისპირებაში, რომელთაც საქართველოს მოქალაქეები, რუსეთის მუდმივი ოკუპაციის ქვეშ განიცდიან, – წერს სალომე ზურაბიშვილი X-ზე (ყოფილი „ტვიტერი“).

თინა ბოკუჩავა: „ქართული ოცნება“ ბიძინობას აღნიშნავს და სკოლის სახელმძღვანელოებში შეაქვს ეს თარიღი“

„ქართული ოცნება“, რომელიც ბიძინობას აღნიშნავს და სკოლის სახელმძღვანელოებში შეაქვს ეს თარიღი, სხვას არ უნდა მოუწოდებდეს, ვინ რა თარიღი აღნიშნოს, – ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, თინა ბოკუჩავამ ჟურნალისტებთან განაცხადა.

გამოეხმაურა „ვარდების რევოლუციის“ 20 წლისთავთან დაკავშირებით მმართველი გუნდის წარმომადგენლების განცხადებებს და აღნიშნა, რომ „ვარდების რევოლუცია“ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის გარდამტეხი მომენტი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში.

– სწორედ „ვარდების რევოლუციის“ რეფორმების შედეგად შეიქმნა თანამედროვე ქართული სახელმწიფო და გზა გაეკაფა ქვეყანას ევროპისკენ. ასე რომ, თუ „რუსულ ოცნებას“ სურს, რომ ბიძინობა აღნიშნოს, აღნიშნონ მათ ბიძინობა, ჩვენ აღვნიშნავთ „ვარდების რევოლუციას“, გიორგობას და დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ამ დროს საქართველოს ეყოლება კოალიციური, ევროპული ხელისუფლება, რომელიც უკვე ერთობლივად აღნიშნავს „ვარდების რევოლუციის“ 21 წლისთავს, – განაცხადა ბოკუჩავამ.

რაც შეეხება ერთობის მანიფესტს, ბოკუჩავა აცხადებს, რომ ვინც მანიფესტს ხელს არ მოაწერს, თავად აღმოჩნდება პარტიის მიღმა. მისივე თქმით, სავარაუდოდ, გარიცხვის მექანიზმი წესდებაში გაწერილია, თუმცა, მიიჩნევს, რომ პარტიის დატოვება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც თავად პოლიტიკოსმა უნდა მიიღოს.

– ადამიანებს, რომლებიც სამწუხაროდ, ნამდვილად არ იყვნენ ერთობაზე ორიენტირებულნი, ტყვეობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილი შესაძლებლობას აძლევს, ხელი მოაწერონ ერთობის მანიფესტს და კვლავ გავერთიანდეთ საერთო გამარჯვებისთვის და იმ დიდი ბრძოლისთვის, რომელიც 2024 წლის არჩევნებამდე გველოდება. მე მხოლოდ იმედი შემიძლია გამოვთქვა, რომ ეს ადამიანებიც ამ შესაძლებლობას გამოიყენებენ, თუ არ გამოიყენებენ, როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა განმარტა, თავად აღმოჩნდებიან პარტიის მიღმა.

პროცედურულ ტექნიკური ნაწილით არ დავინტერესებულვარ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, გარიცხვის მექანიზმი წესდებაში არის გაწერილი, სავარაუდოდ, ან პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე, ან გენმდივანი ან პოლიტსაბჭო იღებს ამ გადაწყვეტილებას. სამართლებრივი ტექნიკური ნიუანსებით არ დავინტერესებულვარ, რადგან ვთვლი, რომ პარტიის დატოვება არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც თავად პოლიტიკოსმა უნდა მიიღოს და ასე ხდებოდა ყოველთვის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს ადამიანები გამოიყენებენ ერთობის მანიფესტის შესაძლებლობას, – განაცხადა ბოკუჩავამ.

ბექა ოდიშარია: „არ ვიცი, შუა შეიკრიბება, თუ გაღმა-გაღმა ვინც დადიან, ისინი, მაგრამ აქ პარადოქსია, რომ 1+1+1 არის ნული“

– არ ვიცი, შუა შეიკრიბება, თუ გაღმა-გაღმა ვინც დადიან, ისინი, მაგრამ აქ პარადოქსია, რომ 1+1+1 არის ნული – ასეთი არითმეტიკა იქნება და აუცილებლად „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, – ასე პასუხობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ბექა ოდიშარია „ლელოს“ ლიდერის, მამუკა ხაზარაძის განცხადებას, რომ „შუა უნდა შეიკრიბოს“.

ოდიშარია აცხადებს, რომ გაერთიანება „მათი ბოლო შანსია“.

– აუცილებლად უნდა შეიკრიბოს, არ ვიცი, შუა შეიკრიბება, თუ გაღმა-გაღმა ვინც დადიან წრეზე ისინი, მაგრამ ვინ უნდა შეიკრიბონ? „ლელოსა“ და გახარიას დეკლარირებულად სძულთ ერთმანეთი, დანარჩენი ერთპროცენტიანი პარტიებია. თქვენთვის ცნობილია, ალბათ, რომ ნულს პლუს ნული, არის ნული, აქ პარადოქსია, რომ ერთს პლუს ერთი და პლუს ერთი არის ნული. აი, ასეთი არითმეტიკა იქნება და აუცილებლად „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, დანარჩენები გაერთიანდებიან თუ არა, მაგრამ რაციონალურია, რომ გაერთიანდნენ, სხვა გზა არ აქვთ, ეს არის მათი ბოლო შანსი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიძახი, პარტიულ შემთხვევაში პარადოქსული არითმეტიკაა, ერთს პლუს ერთი და პლუს ერთი არის მაქსიმუმ ერთი ჯამში, – განაცხადა ოდიშარიამ.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

ქართველმა პოლონეთში კბილის პასტა მოიპარა

პოლონეთში, შვიეტოჩლოვიცეს ერთ-ერთ მაღაზიაში, საქართველოს მოქალაქე დიდი რაოდენობით კბილის პასტების ქურდობისთვის დააკავეს.

საქართველოს 30 წლის მოქალაქე კბილის პასტებით სავსე ზურგჩანთით მაღაზიის დაცვამ შეამჩნია. როგორც პოლონური მედია წერს, იმავე მაღაზიაში შემთხვევით აღმოჩნდა პოლიციელი, ის ქურდს გაეკიდა და რამდენიმე ათეული მეტრის დევნის შემდეგ დაიჭირა. საქართველოს მოქალაქე ძვირადღირებული კბილის პასტების ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

ადგილზე გარდაიცვალა — ავარია თელავში

თელავში, ერეკლე მეორის ქუჩაზე, ავტომობილი ქვეითს დაეჯახა – 40 წლამდე ასაკის კაცი ადგილზე გარდაიცვალა. ცნობილია, რომ დაღუპულია თელავის ფინანსური სამსახურის თანამშრომელი.

შემთხვევა რამდენიმე წუთის წინ მოხდა, მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი ქვეითს ე.წ. „ზებრა“ გადასასვლელზე დაეჯახა. მანქანის მძღოლი კი შეჯახების შემდეგ ადგილიდან მიიმალა.

ევროსასამართლომ საქართველოს მთავრობას 2024 წლის 14 თებერვლამდე კალანდიასთან შეთანხმების წინადადება მისცა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კალანდია საქართველოს წინააღმდეგ“ დაცვის მხარეს გუშინ ჩაბარდა.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მიხეილ კალანდიას ადვოკატმა ზურაბ თოდუამ განუცხადა.

როგორც მან განმარტა, საქართველოს მთავრობას მიხეილ კალანდიასთან შეთანხმების წინადადება მიეცა 2024 წლის 14 თებერვლამდე, ხოლო თუ დათქმულ ვადაში მხარეები ვერ მორიგდებიან, სასამართლო გადადის მე-3 ეტაპზე, რა დროსაც საქართველოს მთავრობამ რიგ კითხვებს პასუხები უნდა გასცეს.

– ჩვენ აღნიშნული საქმე სტრასბურგში გავასაჩივრეთ, საქმეს თავის დროზე მიეცა ნომერი „კალანდია საქართველოს წინააღმდეგ“. მოთხოვნილი მქონდა სამი მუხლით დარღვევა საქმეზე. პირველი იყო სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის უფლების დარღვევა, მეორე დარღვევა, როდესაც კალანდია წინასწარ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე გამოაცხადეს დამნაშავედ, ვგულისხმობ საპარლამენტო კომისიას და მესამე, დაცვის უფლებების დარღვევა, როდესაც ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა გამოეკითხა მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი ადამიანები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 22 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობას მიეცა შეთანხმების წინადადება კალანდიასთან 2024 წლის 14 თებერვლამდე ვადაში.



თუ ამ ვადაში მხარეები ვერ მორიგდებიან, სასამართლო გადადის მე-3 ეტაპზე, რა დროსაც საქართველოს მთავრობამ უნდა გასცეს პასუხები კითხვებზე:

განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყო თუ არა სამართლიანი სასამართლო უფლებით?

იყო თუ არა დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია ობიექტური და მიუკერძოებელი?

მიეცა თუ არა კალანდიასა და მის ადვოკატს შესაძლებლობა, დაეკითხათ ის მოწმეები, ვინც მის წინააღმდეგ აძლევდნენ ჩვენებას?

ეს სამი კითხვა არის საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ დასმული სტრასბურგის სასამართლოს მიერ. ჩემი სასაჩივრო მოთხოვნა რაც იყო, თავიდან ბოლომდე 90% დაკმაყოფილებულია, კიდევ უფრო მეტი, – აღნიშნა ადვოკატმა.

კითხვაზე, ნიშნავს თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება იმას, რომ კალანდია უნდა გათავისუფლდეს, ადვოკატი განამარტავს, რომ „მორიგება ყველაფერს ნიშნავს“.

– მე ხვალ უნდა შევხდე კალანდიას, მან ეს ინფორმაცია დღეს არ იცის. ხვალ გავივლი დეტალებს და მას შემდეგ შევძლებ მსჯავრდადებულის პოზიციის შესახებ ვისაუბრო, – აღნიშნა ადვოკატმა.

ცნობისთვის, დავით სარალიძის ჯგუფურად დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით სამართალდამცავებმა მიხეილ კალანდია 2019 წლის 4 ივნისს დააკავეს. ის თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, სასჯელი ერთი მესამედით შეუმცირდა და საბოლოოდ, სასჯელის სახით 11 წელი და 3 თვე შეუფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ.

უზენაესმა სასამართლომ კი, საკასაციო საჩივარი საერთოდ დაუშვებლად მიიჩნია.

„ნიკა მელია თავის პოზიციებში აიხლართა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



– ბატონო რამაზ, ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებული 23 ნოემბრიდან ბევრად უფრო მეტი მოლოდინი იყო. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ მანიფესტით რატომ შემოიფარგლნენ?

– მრჩება შთაბეჭდილება, რომ დღეს ნაციონალურმა მოძრაობამ არ იცის, რა უნდა. გასაგებია, რომ ძალაუფლების დაბრუნება უნდა, მაგრამ ეს იცით, როგორ არის, მშიერმა კაცმა რომ არ იცის, რა ჭამოს. არ აქვთ არანაირი გეგმა, საზოგადოებისთვის არაფერი აქვთ სათქმელი.

– რა სიახლეს ელოდით?

– თუნდაც მონანიებას, მრავალი წლის თავზე. საკუთარი ამომრჩევლის საქმის კურსში ჩაყენებას, რას და როგორ აპირებენ. ვინ არის რეალურად პარტიის მმართველი ძალა, მმართველი პირები. სურვილების, თუნდაც პოლიტიკურის, გამოთქმა ძალიან მარტივია. მთავარია, გზები, როგორ აპირებ ამ მიზნის მიღწევას.

სიახლე იყო მანიფესტი, რომელიც გამოაქვეყნეს. სიმართლე გითხრათ, შესაშური მანიფესტია. მთელ მსოფლიოში ყველა მოაწერდა ხელს. კეთილი სურვილების დოკუმენტია, მაგრამ ისევ არავითარი კონკრეტიკა. თუმცა, მანიფესტი შეიძლება არც ითვალისწინებს კონკრეტიკას, ეს სხვა დოკუმენტის საგანია, მაგრამ წინასაარჩევნოდ სწორედ მნიშვნელოვანი გეგმაა, როგორ აპირებ თუნდაც ადამიანის უფლებების დაცვას, საკუთრების უფლების დაცვას. 12 წელია იქადნიან, რომ სამოქმედო გეგმას დადებენ და ვერ დადეს. მანიფესტი გეგმა არ არის.

– მოლოდინი იყო, რომ ნიკა მელია პარტიის დატოვების შესახებ განცხადებას გააკეთებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორ ფიქრობთ, რატომ აყოვნებს?

– სიმართლე გითხრათ, ძალიან გაურკვეველი სიტუაციაა. ძალიან ბევრი ინფორმაცია დამალულია. რა პროცესები მიმდინარეობს ძალიან რთული სათქმელია. ნიკა მელიაც თავის პოზიციებში აიხლართა.

– შეიძლება პოზიცია შეცვალოს?

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი, მიხეილ სააკაშვილის ამომრჩეველია“

– უკვე არაფერს გამოვრიცხავ. თუმცა, მაინც მგონია, რომ 2024 წლის არჩევნების მოახლოებისას პარტიას ხმაურით დატოვებს, რომ ამომრჩევლის გარკვეული ნაწილი გაიყოლოს, მაგრამ რამდენად გამოუვა, ვერ გეტყვით. შეიძლება სიტუაციას აკვირდება. მანიფესტი არც შერიგებისკენ გადადგმული ნაბიჯია და არც გარიყვისკენ.

– ნაციონალური მოძრაობიდან მელია ამომრჩევლის რა ნაწილს გაიყოლებს?

– ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი, მიხეილ სააკაშვილის ამომრჩეველია. რაც შეეხება ამ დაპირისპირებას, ვგულისხმობ მელიასთან პარტიის დაპირისპირებას, მიხეილ სააკაშვილს არ აქვს გამოკვეთილი თავისი პოზიცია. ის ლავირებს. ღიად ერიდება პოზიციის დაფიქსირებას.

– როგორ ფიქრობთ, რატომ?

– ჩანს, რომ ერთიანობის მომხრეა, მაგრამ არ შესწევს ძალა, ერთიანობა რეალობად აქციოს. ამ დაპირისპირებაში ვის მხარეს არის, ღიად არ ამბობს. ვნახოთ, რას იზამს მელია.

ნაციონალური მოძრაობის მხრიდან პოლიტიკური მანიფესტი ქართველი ამომრჩევლისთვის საერთოდ არაფერს ნიშნავს. ალბათ, ადამიანის უფლებებსა და საკუთრების უფლებებზე რომ საუბრობს, მანიფესტის იმ მუხლებზე ხალხს მწარედ ჩაეცინება. რას ვიზამთ, ასეთია ნაციონალური მოძრაობის ბუნება.

– როგორ ფიქრობთ, არჩევნებში რა შედეგი ექნებათ, პარტიაში მიმდინარე პროცესების ფონზე?

– მათ ამომრჩევლის 20 პროცენტი უჭერს მხარს. როგორც გითხარით, მეტი წილი, თუ აბსოლუტური უმრავლესობა არა, მიხეილ სააკაშვილის ამომრჩეველია. ერთი სიტყვით, მას აძლევს ხმას. თუ სააკაშვილს პრემიერობის კანდიდატად წარადგენენ, ეს ამომრჩეველი არ მოაკლდებათ და მიიღებენ 20 პროცენტს. პარლამენტში მეორე პარტია იქნება, ოპოზიციაში კი პირველი.

გიორგი გახარია: „ევროპარლამენტის რეზოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, ვინ არის საქართველოს მეგობარი“

პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერის, გიორგი გახარიას განცხადებით, ევროპარლამენტის რეზოლუცია რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ თამაზ გინტურის მკვლელობასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, ვინაა საქართველოს „გრძელვადიანი მშვიდობის გარანტი და ვინ მტერი“.

როგორც ის საკუთარი „ტვიტერის“ გვერდზე წერს, ბოლოდროინდელი მოვლენები ადასტურებს, რომ ქართველი ხალხი და ევროკავშირი სწორ მხარეს დგას, თუმცა, საქართველოს მთავრობა „მნიშვნელოვნად ჩამორჩება“.

– ევროპარლამენტის რეზოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის ნამდვილ ღირებულებებს, ვინ არის საქართველოს მეგობარი, ჩვენი სახელმწიფოებრიობის და სუვერენიტეტის დამცველი, გრძელვადიანი მშვიდობის გარანტი და ვინ არის მტერი. 8 ნოემბერს, როცა ევროკავშირი საქართველოსთან დაკავშირებით კანდიდატის სტატუსზე ისტორიულ გადაწყვეტილებას იღებდა, ოკუპანტებმა ჩვენი თავისუფლების, ღირსებისა და ეკლესიის დაცვისთვის თამაზ გინტური სასტიკად მოკლეს. ბოლოდროინდელი მოვლენები ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოს მოქალაქეები ისტორიის სწორ მხარეს დგანან. ასევე, სწორ მხარეს დგას ევროკავშირი. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება, – წერს „ტვიტერზე“ გიორგი გახარია.

ევროპარლამენტმა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქის, თამაზ გინტურის მკვლელობასთან დაკავშირებით რეზოლუცია დაამტკიცა.

რეზოლუციას, რომელსაც რამდენიმე თანაავტორი ჰყავს, ევროპარლამენტის 495-მა წევრმა დაუჭირა მხარი.

ევროპარლამენტმა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ თამაზ გინტურის მკვლელობასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო

ევროპარლამენტმა რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქის, თამაზ გინტურის მკვლელობასთან დაკავშირებით რეზოლუცია დაამტკიცა.

რეზოლუციას, რომელსაც რამდენიმე თანაავტორი ჰყავს, ევროპარლამენტის 495-მა წევრმა დაუჭირა მხარი.

რეზოლუციის ტექსტში ევროპარლამენტარები საქართველოს მოქალაქის, თამაზ გინტურის მკვლელობას გმობენ და საქმის საფუძვლიან გამოძიებას, დამნაშავეების დასჯასა და საოკუპაციო ძალების ტყვეობაში მყოფი მოქალაქეების გათავისუფლებას მოითხოვენ. ევროპარლამენტარები ასევე გამოხატავენ მხარდაჭერას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ.

შეგახსენებთ, რომ ევროპარლამენტში რეზოლუციის შესახებ დებატები გუშინ გაიმართა, სადაც ევროპარლამენტარებმა თამაზ გინტურის მკვლელობაში პასუხისმგებელი პირების დასჯა და საქართველოს სუვერენიტეტის მხარდაჭერა დაადასტურეს.

შალვა პაპუაშვილი: „სალომე ზურაბიშვილი სრულად გასულია კონსტიტუციური ჩარჩოებიდან“

– სალომე ზურაბიშვილი სრულად გასულია კონსტიტუციური ჩარჩოებიდან და რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, – ასე პასუხობს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას, აქვს თუ არა მოლოდინი, რომ პრეზიდენტი პოლიციელების ჯანმრთელობის ხელყოფისა და სახელმწიფო ქონების განადგურების ფაქტებზე ბრალდებულ ლაზარე გრიგორიადისს შეიწყალებს.

შალვა პაპუაშვილის განცხადებით, მას არანაირი მოლოდინები არ აქვს ამ საკითხზე სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებით, ვინაიდან, „არა თუ შეწყალება, მან კონსტიტუცია დაარღვია“.

– ჯერ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მივცეთ იმის შესაძლებლობა, რომ დაადგინოს ბრალეულობა იმ პირის ან არ დაადგინოს. მე მგონი, ქართველი ხალხი იმსახურებს იმის გაგებას, ვინ იყო ის ადამიანი, ვინც საქართველოს ისტორიაში პირველად მოლოტოვის კოქტეილი ესროლა ცოცხალ ადამიანს და წვავდა. ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცეს საქართველოს სასამართლომ, ამიტომ მნიშვნელოვანია ჯერ მართლმსაჯულების აღსრულება და მოვისმინოთ, მართლმსაჯულება რას იტყვის ამ საკითხზე, – აცხადებს შალვა პაპუაშვილი.

2023, 24 ნოემბერი, №232

ოკუპირებულ აფხაზეთში საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაემტერნენ

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ჰუმანიტარულ მისიას დიდი ხანია ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები. გარდა ამისა, სოხუმში სისტემატურად ჩადიან ჟენევის ფორმატში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბოლო წლებში საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ ოკუპირებულ აფხაზეთში საყვედურები ისმის. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა კრემლთან დაახლოებული ინალ არძინბა, რომელიც მოსკოვმა აფხაზეთში ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრად მოავლინა. არძინბას კრიტიკა ძირითადად მდგომარეობდა იმაში, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ერევიან აფხაზეთის საქმეებში.

ბოლო ხანს არძინბა იუსაიდს მიადგა და „ამხილა" იმაში, რომ აფხაზეთს ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარებს. მისი კრიტიკული ნოტები იუსაიდის მიმართ უცნაურად დაემთხვა თბილისიდან გამოთქმულ პრეტენზიებს ამავე ორგანიზაციის მიმართ. ცნობილია, რომ იუსაიდი თბილისში დაადანაშაულეს იმაში, რომ მონაწილეობდა ტრენინგების ორგანიზებაში, სადაც „გადამტრიალებლებსა" და „რევოლუციონერებს" ამზადებენ.

არძინბას პრეტენზიებს ამ დღეებში ოკუპირებული რეჟიმის ქმედებებიც მოჰყვა. კერძოდ, დე ფაქტო პრეზიდენტმა ბჟანიამ გამოსცა ბრძანებულება საერთაშორისო და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებისა და პროექტების რეალიზაციის წესის შესახებ.

ამ გადაწყვეტილებით, ეს ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, დაასახელონ აფხაზეთში რეგისტრირებული არაკომერციული ორგანიზაციები, რომელთა ჩართვასაც გეგმავენ თავიანთ პროგრამებსა და პროექტებში; მიუთითონ ყოველი ღონისძიება, რომელსაც ახორციელებენ, მისი დაფინანსების მოცულობა, დაასახელონ ყველა არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ამაში მონაწილეობს; მათ ევალებათ შუალედური ანგარიშების წარდგენა ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვა.

საკითხს აფასებს აფხაზეთის ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრის დირექტორი არდა ინალ-იპა, რომლის მიერ გამოყენებული ტემინოლოგია არღვევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.

არდა ინალ-იპა:

– აფხაზეთის ხელისუფლება დიდი ხანია, ცდილობს, დიდი კონტროლის დამყარებას არასამთავრობო ორგანიზაციებზე. ისეთი განცდა რჩება, რომ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქმიანობის სფერო შეიცვალა. ის თავის ძალისხმევას იმდენად დიპლომატიურ მოქმედებებს კი არა, არამედ იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის დუბლირებას უთმობს. იმის მაგივრად, რომ გადაწყვიტოს აფხაზეთის აღიარების გაფართოების ამოცანები, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მინისტრმა (არძინბამ) მიზნად დაისახა გაწყვიტოს ურთიერთობები საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ეს შეშფოთებას ინვევს. როგორც ჩანს, ჩვენს ჩინოსნებს არ გააჩნიათ ინფორმაცია იმაზე, თუ რა ხდება აფხაზეთში, როგორი დიდი გზა გაიარა აფხაზეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში.

არასამთავრობო ორგანიზაციების კონტროლი საერთოდ არ გვაშინებს. ბრძანებულებაში საუბარია კონტროლის დონის ზრდაზე. ჩვენ ისედაც გახსნილები ვართ, მკაცრი ანგარიშვალდებულება გვაქვს. მუდმივად გავდივართ კონტროლს.

თუ ხსენებული ბრძანებულება მოიტანს იმას, რომ ხელისუფლება უკეთ გაერკვევა ქვეყანაში არსებულ პრობლემებში (განათლების სფეროში, ინფორმირების სისტემაში და სხვა), უკეთესი იქნება. სხვა საქმეა, რომ ვიღაც გეგმავს ჭარბი კონტროლით მოახდინოს არასამთავრობო ორგანიზაციების პარალიზება. ეს არ გამოუვათ.

– ესე იგი, კონტროლით ვერ დაგაშინებენ?

– აბსოლუტურად ვერ დაგვაშინებენ. სამწუხაროა, ეჭვები არ ჩნდება იმ ადამიანიანების მიმართ, რომლებსაც აქვთ ჩრდილოვანი ბიზნესი, რომლებიც ჩართულნი არიან კორუფციაში და ა.შ. ეჭვები და არასწორი წარმოდგენები უჩნდებათ იმ პირების მიმართ, რომლებიც გახსნილები არიან. ამ ადამიანებმა დიდი ხანია დაიმსახურეს პატივისცემა ქვეყანაში. თუ საჭიროა დამატებითი შემოწმებები, დაე, იყოს.

რუსეთი უკრაინაში რევოლუციას გეგმავს?

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის ომში ჩართული რუსეთი არ ეშვება საკუთარი გავლენების დამყარება-გაძლიერებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ არის. საქართველოსთვის საყურადღებოა, თუ რა განზრახვები აქვს კრემლს ამა თუ იმ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში.

არსებობს ინფორმაცია, რომ რუსეთი უკრაინასთან ომს არ სჯერდება და იქ ხელისუფლების დამხობასაც გეგმავს. ამ განზრახვას ეწოდა „მაიდანი 3". რატომ ვერ გამოვა უკრაინაში „მაიდანი 3"? რა შეიძლება მოაწყოს კრემლმა? ამაზე თავისუფალ მედიას ესაუბრნენ უკრაინელი პოლიტოლოგი ვლადიმირ ფესენკო და კრემლის კრიტიკოსი, რუსი პოლიტოლოგი დმიტრი ორეშკინი.

უკრაინელი პოლიტოლოგი ფესენკო:

– რამდენად შესაძლებელია უკრაინაში „მაიდანი 3"? უკრაინაში ამას სერიოზულად აღიქვამენ?

– ეს არის რუსეთის სპეცოპერაციის კოდური სახელწოდება. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ხელოვნურად მაიდნის მოწყობა შეუძლებელია. რუსეთი 2014 წლის შემდეგ ადრეც ცდილობდა ამგვარი რამ მოეწყო, თუმცა, ვერაფერი მოახერხა. მაიდანს ახლაც ვერ მოაწყობენ. რუსებს სხვა რამ შეუძლიათ. ესაა პროვოკაციები. ამ სპეცოპერაციის პირველი ნაწილი უკრაინაში უკვე ვნახეთ. მე ამ ინფორმაციას არც „ხოხმად" და არც ზელენსკის პოლიტტექნოლოგიად (ზოგიერთები ასე თვლიან) არ მივიჩნევ. არც ისე დიდი ხნის წინ სოციალურ ქსელებში ძალიან საშიში ფეიკები გავრცელდა. ამ ფეიკებში ირწმუნებოდნენ, თითქოს ზალუჟნი გამოდის ზელენსკის დამხობის მოწოდებით. ეს აშკარად მიმართული იყო იქეთ, რომ ერთმანეთისთვის დაეტაკებინათ ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა. იმავდროულად, ვრცელდებოდა მოწოდებები, რომ მოსახლეობას დაეტოვებინა კიევი და სხვა მსხვილი ქალაქები, ვინაიდან ვითომ იქ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აპირებენ სამხედროები. ეს იყო პანიკის დათესვა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს რუსების მხრიდან რაღაცის რეპეტიცია იყო. მადლობა ღმერთს, ამან არ იმუშავა. ეს ყველაფერი სერიოზულად უნდა აღვიქვათ. ეს არის პროვოკაციის მცდელობები და არა მაიდანი.

პუტინის მოწინააღმდეგე რუსი პოლიტოლოგი ორეშკინი:

– არის თუ არა სერიოზულად განსახილველი „მაიდანი 3"-ის სცენარი?

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მაიდანი შეკვეთით არ ეწყობა. როგორც ჩანს, კოლექტიურ პუტინს სჯერა, რომ მაიდანი (2014 წელს) ამერიკელებმა მოაწყვეს. ისინი ასე ფიქრობენ, თუ ამერიკელებმა მოაწყვეს, რატომ ვერ გააკეთებენ იმავეს რუსები? მათი გათვლით, ამერიკელებმა 5 მილიარდად მაიდნის საშუალებით იყიდეს უკრაინა. ასეთი ისტორიული და პოლიტიკური არაკომპეტენტურობა (რუსეთის ხელისუფლებას) ახასიათებთ. ბევრჯერ ითქვა, რომ რუსეთმა უკრაინაში უზარმაზარი ფული ჩადო. მათი ლოგიკით, ამერიკელებმა სძლიეს. საჭიროა მათი დაჯაბნა. თუ ახლა მაიდანს დააპირებენ, ეს კლინიკური სიტუაცია იქნება.

როცა უკრაინა ერთიანი იყო, შეიძლებოდა პრეტენზია (რუსებს) ჰქონოდათ რაღაც სოციალურ ბაზაზე უკრაინის აღმოსავლეთში. არსებობდა დონეცკის კლანი, მას ჰყავდა მომხრეები. იანუკოვიჩს ჰყავდა მიმდევრები. ახლა სხვა ვითარებაა და რუსეთს უკრაინაში მომხრეები არ ჰყავს. მესამე მაიდნისთვის სოციალური მასალა არ არსებობს.

რუსეთიდან სხვა საფრთხე არსებობს. რუსებს შეუძლიათ, ბოტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით, შეიტანონ განხეთქილება უკრაინის საზოგადოებაში.

– რა შეუძლია რუსეთს შესთავაზოს უკრაინის საზოგადოებას?

– რუსეთი უკრაინის საზოგადოებას ვერაფერს შესთავაზებს. მათ გათვლა არც აქვთ იმაზე, რომ მასები აზვირთდებიან. პუტინის მოდელს ხალხი ღრმად და გულწრფელად სძულს. მათ (კრემლს) იმის იმედი აქვთ, რომ გახლეჩენ უკრაინის ხელისუფლებას, შეცვლიან და შემდეგ თავის ხელისუფლებას მოიყვანენ.

როგორც საბჭოთა კავშირს არ შეეძლო რაიმე კარგი შეეთავაზებინა მაშინდელი ჩეხოსლოვაკიისათვის, უნგრეთისთვის, პოლონეთისთვის და ა.შ., მათი დასავლელი მეზობლებისგან განსხვავებით, ისე პუტინსაც არ შეუძლია რაიმე სასიკეთო შესთავაზოს უკრაინელ ხალხს.

ეკონომიკა

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ 1 მილიონს გადააჭარბა

2023 წლის 10 თვეში, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდს 19%-ით გადააჭარბა. საქართველოს დაცულმა ტერიტორიებმა 1.015.024 ვიზიტორს უმასპინძლა.



აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, გასულ წელთან შედარებით, 29%-ით არის გაზრდილი უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობაც. 2023 წელს დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა შორის 58% (589.841 ვიზიტორი) სხვა ქვეყნის მოქალაქეა.

– 2023 წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა: მარტვილის კანიონს, პრომეთეს მღვიმეს, მტირალას ეროვნულ პარკს, სათაფლიასა და წალკის კანიონს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რეკორდული რაოდენობა 2019 წელს დაფიქსირდა. მიმდინარე წლის 10 თვეში, 2019 წლის მონაცემები 90%-ით არის აღდგენილი.

დაცული ტერიტორიების სააგენტო აქტიურად განაგრძობს ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარებას. მიმდინარე წელს, ეკოტურიზმის განვითარებისთვის, სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე, 22,5 მილიონამდე ლარის ინვესტიცია განხორციელდება. 15 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს 1.200 კმ-მდე სიგრძის საფეხმავლო ბილიკების და თანმდევი ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო და მოსაწყობი სამუშაოები, რათა კიდევ უფრო კომფორტული და უსაფრთხო გახდეს დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობა, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბიუჯეტში გადასახადებიდან შესული თანხა 2,5 მლრდ ლარით გაიზარდა

2023 წლის იანვარ-ოქტომბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბიუჯეტში გადასახადებიდან შესული თანხა 2,5 მლრდ ლარით გაიზარდა.

კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (კონსოლიდაციის გარეშე) მიხედვით, წელს 10 თვეში გადასახადებიდან ბიუჯეტში 16,1 მლრდ ლარი შევიდა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში 13,6 მლრდ ლარი.

ამასთან, წელს, გადასახადებიდან შესული 16,1 მლრდ ლარიდან 5,041, მლრდ ლარი ფიზიკურ პირებზე მოდის (გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 4,159 მლრდ ლარს შეადგენდა), ხოლო 5,041 მლრდ ლარი საშემოსავლო გადასახადზე (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში 4,159 მლრდ ლარი).

Bloomberg-ზე ერთი დოლარი 2.7080 ლარად ივაჭრება

Bloomberg-ის სავაჭრო პლატფორმაზე 12:00 საათისთვის ერთი დოლარი 2.7080 ლარად ივაჭრება.

პლატფორმაზე ვაჭრობა 2.7046 კურსით დაიწყო.

ეროვნული ბანკის მიერ 21 ნოემბრის დადგენილი კურსით, ერთი აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება დღეს 2.7037 ლარია. რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 2.9603 ლარია.

რას ყიდის და ყიდულობს საქართველო ისრაელისგან

2023 წლის ოქტომბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველო-ისრაელს შორის საგარეო-სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა, სექტემბერთან შედარებით კი შემცირდა. კერძოდ, გასულ თვეს ორ ქვეყანას შორის ბრუნვის მოცულობა 2,915 მლნ დოლარს შეადგენდა, 2022 წლის ოქტომბერში 2,066 მლნ დოლარს, 2023 წლის სექტემბერში კი ბრუნვის მოცულობა 3,509 მლნ დოლარი იყო.

აღსანიშნავია, რომ გასულ თვეს ბრუნვაში იმპორტის წილი დაახლოებით 36% იყო, სულ 1,040 მლნ დოლარი, ექსპორტმა კი 1,875 მლნ დოლარი შეადგინა, საიდანაც 1,191 მლნ დოლარის ადგილობრივი პროდუქცია იყო.

„ბიზნესპრესნიუსი" გთავაზობთ, თოპ-5 პროდუქტს, რასაც ვყიდით და ვყიდულობთ ისრაელში: (2023 წლის ოქტომბრის მონაცემები)

იმპორტი:

ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები; სარეცხი და საწმენდი საშუალებები – 160,2 ათასი დოლარი;

დამაჩქარებლები კაუჩუკის ვულკანიზაციისა მზა – 150,8 ათასი დოლარი;

კოსმეტიკური საშუალებები ან მაკიაჟისა და კანის მოვლის საშუალებები – 104,1 ათასი დოლარი;

გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები – 50,1 ათასი დოლარი;

კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი – 48,9 ათასი დოლარი;

ექსპორტი:

აპარატურა გადამცემი რადიოსატელეფონო, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიისათვის – 384,4 ათასი დოლარი;

წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით – 253,1 ათასი დოლარი;

ოპტიკური ელემენტები – 192,7 ათასი დოლარი;

მინერალური და მტკნარი წყლები – 157,5 ათასი დოლარი;

მაისურები, თბილი კვართები და სხვა ტრიკოტაჟის ნაწარმი, მანქანით ან ხელით ნაქსოვი – 153,9 ათასი დოლარი

ადგილობრივი ექსპორტი:

წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით – 253,1 ათასი დოლარი;

მინერალური და მტკნარი წყლები – 157,5 ათასი დოლარი;

მაისურები, თბილი კვართები და სხვა ტრიკოტაჟის ნაწარმი, მანქანით ან ხელით ნაქსოვი – 153,9 ათასი დოლარი;

ნაწილები განკუთვნილი ტელე-რადიო აპარატურისათვის – 121 ათასი დოლარი;

ყურძნის ნატურალური ღვინოები – 102,7 ათასი დოლარი;

შეგახსენებთ, რომ სამხედრო დაპირისპირება 2023 წლის 7 ოქტომბერს გამთენიისას ღაზის სექტორიდან ისრაელის ტერიტორიაზე განხორციელებული ფართომასშტაბიანი სარაკეტო თავდასხმით დაიწყო.

„ჟიული შარტავამ სოხუმის დასაცავად მაშველი ითხოვა, რომელსაც ათი დღე ველოდით“

ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან. ის სოხუმის დაცვის ტრაგიკულ დეტალებზე გვიამბობს. ინტერვიუ ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნდა.

– რამდენადაც ცნობილია, სოხუმის დაცემამდე ჟიული შარტავა ტელეფონით ესაუბრა ზვიადისტებს. იქნებ ამაზე გვიამბოთ?

– ვიდეომასალიდან სიტყვა-სიტყვით მაქვს ამოწერილი ეს საუბარი. გთავაზობთ სრულ ტექტს. ჟიული შარტავა ზვიადისტების ულტიმატუმს ტელეფონით ისმენს, მერე პასუხობს: „ეს ახლა ჩემთვის უცნობი ამბავია. ახლა საკითხი ასე დგას: გადასარჩენია სოხუმი და საქართველო მთლიანად და მე მგონია, ახლა მაგის გარჩევის საქმეში მონაწილეობა ჩემგან არ გესწავლებათ თქვენ და... მებრძოლი კაცი ხართ და აქაა დიდი საქმე გადასარჩენი. მერე გაირკვევა დანარჩენი. ახლა მე გინდათ თქვენ მარტომ გადავწყვიტო, როდესაც აქ საქართველოს ბედი წყდება ის, რაშიდაც მე მონაწილეობა არ მიმიღია. კაცო! როდესაც აქ ათასობით ხალხი ჩამოდის საქართველოს ყოველი კუთხიდან და სამეგრელოს აქ მონაწილეობის გარეშე გადარჩება ეს საქმე? კარზეა მომდგარი, შემოსულები არიან შიგნით და დანარჩენი გავარჩიოთ მერე. სოხუმელები, ვინც აქ იბრძოდნენ, ის ხალხი გაბრუნდა უკან... მერე დაბრუნდნენ უნდა უკან! და ყველას ჩვენი საქმეა ეს. დანარჩენი სხვა საკითხები გავარჩიოთ მერე. ახლა გადავარჩინოთ რაც გადასარჩენია... საქართველოს უნდა ამოვუდგეთ ყველანი, მე ასე მგონია... მე გეუბნებით კაცურად და დანარჩენი როგორც თქვენ გინდათ, ისე გადაწყვიტეთ... მე ძალიან გთხოვთ, ახლა ულტიმატუმებს ნუ მიყენებთ მერე... ეს არ არის ასეთ დროს...

ქამრის ქვეშ დარტყმას ნიშნავს და ეს არ ეკადრება ვაჟკაც ხალხს, ქამრის ქვეშ დარტყმა... ახლა უჭირს საქმეს და თუ მოდიხართ, წამოდით და გააკეთეთ საქმე და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ... მე ჩემი სათქმელი გითხარით და აწი თქვენ იცით!“

ჟიული შარტავა ითხოვს მაშველს სოხუმის გადასარჩენად. ითხოვს საკუთარი ღირსების და სიამაყის გაუფერმკრთალებლად. სოხუმში საქართველოს ბედი წყდება. ათი დღის მანძილზე ველოდებით მაშველს სოხუმში, ვიცლებით სისხლისგან, ეწირებიან სამშობლოს საჯიშე ბიჭები, პოზიციებზე ხშირად ვაგროვებთ ნაფლეთებად ქცეული თანამეტყვიების სხეულის ნაწილებს, რუსული ავიაციისაგან გულამოგლეჯილი ქართული მიწიდან განუწყვეტლივ ჩქეფს ჯიშიანი ქართული სისხლის ჩანჩქერები და ამ დროს, გაზეთი „აღდგომა“ აქვეყნებს გამსახურდიას მიმართვას ქართველი ერისადმი:

„მოგიწოდებთ, გააძლიეროთ საპროტესტო მოძრაობა, გაფიცვები, მიტინგი თუ ყოველგვარი საპროტესტო აქციები ხუნტის წინააღმდეგ. 1993 წლის 20 სექტემბერი“.

შრომაში სამხედრო პოლიციის უფროსს, სოსო ახალაიას ვხვდები პოზიციაზე. ბიჭები მოუკლეს. ფერდაკარგული, გამწარებული ვაჟკაცი რუსულ-ქართული გინებით მოწინააღმდეგის პოზიციისკენ მიიწევს. ჯაბა იოსელიანის დავალებით ზემო ბირცხაში მივდივარ ჩემი რაზმით (უფრო სწორად, მოვრბივართ), სოსო ჯომიდავას ხალხის ალყიდან გამოსაყვანად.

ჩამბას ქუჩაზე შემოჭრილები არიან უკვე. ფუნიკულიორიდან ტანკის ქვემეხის ჭურვებით გლეჯენ მომხვდურები ჩვენების პოზიციებს. ავღანელები, სოხუმელები მხვდებიან გზადაგზა, ბრძოლით გათანგულები შეუსვენებლივ ისევ ბრძოლებში ებმებიან.

ფილტვში იჭრება მხედრიონელი ამირან ნარსავიძე, ორმეტრიანი სვანი ვაჟკაცი. ავთო პაკელიანი და მხედრიონელები ცდილობენ, რომ ოდნავ მოფარებულში გაიყვანონ. გრძნობს ამირანი, როგორ ჰკიდია საკუთარ სხეულში დაგლეჯილი საკუთარი ორგანოების ნაფლეთები. კრიჭა ეკვრის ტკივილისაგან, თვალები ებინდება, იდღაბნება სანუკვარი ცა, აღარ ესმის ბიჭების ხმა, აღარც მიწის კვნესა. სვანური „ლილეო“ ჩაესმის უცებ, წამოწევას ლამობს. ვაგლახ, ვერ შესძლებს. ღიმილი ეფინება სახეზე. ბუმბერაზ მყინვარწვერს ხედავს, შეურყვნელი თოვლით დაფარულს. გვერდით, დაღმაჭული სიკვდილი ამოძვრა ქვესკნელიდან. კაცური გოდება, სვანური „ზარი“ ესმის ამირანს, ხვდება, მარადისობაში მიდის. ოფლის წვეთები ჯერ ისევ თბილი სახიდან ქვემოთ, გულისკენ მიგორავენ. გულისკენ, რომელიც უკვე აღარ ფეთქავს...

ქართველების და ებრაელების სასაფლაოზე შემოჭრილები არიან. მანქანით შემოვარდნენ, აღებული ჰგონიათ ბირცხა. რუსულად შემოგვძახეს, ჩვენც რუსულადვე ვუპასუხეთ და მანქანაშივე ჩავცხრილეთ სეპარატისტები. ერთი ვანია რუსია, ერთი აშკარად ჩრდილოკავკასიელი, ორი, ვგონებ, სომეხი. ბიჭები სასწრაფოდ იღებენ მათ იარაღის („ტროფეე“) და ჯავშანჟილეტებს. ერთ ჯავშანჟილეტს მე მაწვდიან. არ ვართმევ. მეცინება. მოუხერხებელია ჩემთვის...

ადგილობრივები და ჩვენ მხედრიონელები ერთობლივად გავდივართ შეტევაზე ბირცხის შემოგარენში. სოლიდური „შედეგით“ ვბრუნდებით ისევ პოზიციებზე. შებინდებისას დაზვერვაზე გავდივარ სიმინდის ჭალებით. ვიწრო ორლობეში შევდივარ. ერთსართულიანი სახლის კიბის ქვეშ ვძვრები. მოპირდაპირე სახლებს და ერთი ხელის გაშლისხელა ქუჩას თვალს არ ვაცილებ. წინა სახლის აივანზე ფორმიანი ტიპი გამოდის, ხელში ქილა უჭირავს. კოვზით იღებს ქილიდან „რაღაცას“ და პირისკენ მიაქანებს. კურკებს ეზოში ისვრის.

„ნამდვილად მურაბაა“, მიხარია. საცაა, უნდა დავუძახო, „მეც შემინახეთ მურაბა“-თქო, სახლიდან მეორე ტიპი გამოდის და რაღაცას ეუბნება „მურაბაჭამიას“. ხელ-ფეხი მეყინება: ჩრდილოკავკასიელები არიან! დილამდე გაუნძრევლად ვზივარ, კიბის ქვეშ საიდანაც შემოხეტებულ, გაქუცულ ძაღლთან ერთად. ვგონებ, ერთნაირად გვეშინია ერთმანეთის; არც ძაღლს მოუხუჭავს დაბლინტული თვალები. ორლობეში ჩუმად შემოპარულ განთიადს ფეხაკრებით გავყევი უკან, ჭალებისაკენ. შემამჩნიეს, დამაყარეს. ახლა ფორთხვით მივიწევ სოფლის შუაგულისკენ, ჩვენი პოზიციებისკენ. ძაღლი ჯერ წკავ-წკავით მომდევს, მერე ჩანს, ეზარება ჩემთან ერთად „შლიგინი“, გატყაულ თათებზე დებს თავს და ისე მომდევს მზერით.

ქალაქში, შტაბში ვაგზავნი გლდანელ მხედრიონელს ალიკა გალუსტოვს. ვაბარებ, ჩვენს მარცხნივ პოზიციებმა შეტევა დაიწყონ, ბირცხიდანაც შევუტევთ და ხაზი გასწორდება. ჯაბა იოსელიანი თავისუფლებაში იბრძვის წინა ხაზზე, შტაბში ჩემი წინადადების აღმასრულებელი არავინაა. არც გამართული კავშირებია, არც შეტევისთვის საჭირო საბრძოლო მასალა. მხედრიონელი უნიჭიერესი, უკეთილშობილესი ვაჟკაცი, ნუკრი ცისკაძე ღრიალით გამოჭყავს ტყვიებისა და ჭურვების ქარ-ცეცხლიდან ვალერი ვაშაკიძეს. აღარ სუნთქავს ნუკრი, მისი სუნთქვა პატარა ნუკრიში გაგრძელდა, რომლის გაუცნობლადაც გადავიდა მარადისობაში სამშობლოსათვის სანთლად ანთებული ბიჭი.

1993 წლის 23 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე 4 დღით ადრე, გამსახურდიამ გროზნოდან საქართველოს მოსახლეობას გაზეთი „აღდგომას“ საშუალებით მიმართა: „აუცილებელია, როგორც არასდროს, დაუმორჩილებლობა გადაიზარდოს საერთო-სახალხო დაუმორჩილებლობაში თბილისში, ქუთაისში, რუსთავში და სხვაგანაც. უნდა იცოდეთ, რომ კანონიერმა გვარდიამ გაანთავისუფლა სამეგრელოს რეგიონი ხუნტის ბანდებისგან. ქართველო ვაჟკაცებო, თქვენც შემოუერთდით კანონიერ გვარდიას!“... ზ.გამსახურდია, 1993 წლის 23 სექტემბერი (გაზეთი „აღდგომა“).

ფუნიკულიორის დაბლა, აფხაზი მწერლების პანთეონთან, უთანასწორო ბრძოლებია. მხედრიონელები, ავღანელები, გვარდიელები ერთობლივად ცელავენ მომხვდურთ. ხელში იჭრება მხედრიონელი ნუკრი პაპუაშვილი, ფეხის ტყავზევე ჰკიდია კამისარას ძვლების პატარა ნატეხებად დამსხვრეული ფეხი. ტყვიამფრქვევი გაეჭედა სერგო გერასიმენკოს, წამოიმართა წამით, ტყვია ხვდება, ბოლო ძალებს იკრებს, ისევ ფეხზე დგება. მერე ნელა ეღვენთება დახვეწილ სახეზე საკუთარი ტვინი მხედრიონელ ბიჭს.

გააფთრებით იბრძვიან გორის შენაერთის ბიჭები, შრომაში ზურგი არ უჩვენებიათ, ისე ცელავენ სეპარატისტებს თბილისის ციხიდან გამოყვანილი „ზეკები“, მათი დიდი ნაწილი უყოყმანოდ ეწირება სამშობლოს!

მარცხენა, წინა და ზურგის პოზიციებს უკვე სეპარატისტები აკონტროლებენ ზემო ბირცხაში. ჩვენი პოზიციების მარჯვენა მხარეს, უკონტროლო ზოლია. იქედან დავეშვი სირბილით ქალაქში, შტაბისკენ. კარგი გეგმა გვაქვს შემუშავებული, ახლა არტილერიის დახმარება მჭირდება, წინა ტერიტორია დაამუშაოს, მერე ჩვენ შეტევაზე გადავალთ, გადავრეკავთ სეპარატისტებს, დავიკავებთ წინა ხაზებს, ჩვენს ახლომდებარე პოზიციებიდანაც ამოინევენ მერე ჩვენი მებრძოლები...

ყუმბარის ნამსხვრევებით მაქვს ფეხი დასერილი, ფეხისგულებიც სავსე მაქვს ბასრი საგნების ნატეხებით (თხელძირიანი კეტები თითქმის დამეფლითა), სისხლიან ნაკვალევს ვტოვებ ჩემს უკან. შტაბში მივირბინე. შევარდნაძე ინტერვიუს აძლევს კორესპონდენტს, იმედს გამოთქვამს, რომ მაშველი შემოვა ბოლოს და ბოლოს კოდორით. ჟიული შარტავა მამაშვილურად მხვევს ხელს. არაფერს მეუბნება ჯერ. მერე, – გტკივაო? – მეკითხება. „სოხუმი და ბიჭები“-მეთქი. გონიერ თვალებში დარდი ემატება. ვგრძნობ, უსაშველოდ ტკივა. საკუთარი გულისცემა ზარივით მესმის ყურებში: ნუთუ მართლა განწირულია სოხუმი?!

მედიცინა

შვებულებაში მყოფმა ოთხმა მედდამ გამოქვაბულში ინფარქტიანი მამაკაცი გადაარჩინა

აშშ-ის მკვიდრმა ოთხმა ქალმა გადაარჩინა მამაკაცი, რომელსაც ინფარქტი ავსტრიაში გამოქვაბულში ექსკურსიაზე ყოფნის დროს დაემართა.

მედდები კანზას-სიტიდან ანჟელიკა შორტი, რეიჩელ აუფერტი, ფელონ ოლფი და მეგ გრინი ევროპაში შვებულებით იმყოფებოდნენ. ისინი ავსტრიაში ტურისტული ჯგუფის შემადგენლობაში ალპებში მდებარე გამოქვაბულის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ.

გამოქვაბულის შესასვლელის ახლოს იჯდა მამაკაცი, რომელიც მედდების თქმით, ცუდად გამოიყურებოდა. თავდაპირველად, მათ იფიქრეს, რომ ის უბრალოდ დაიღალა, თუმცა, მალე მან გონება დაკარგა. ოლფი მაშინვე მიიჭრა მამაკაცთან, პულსი გაუსინჯა და მიხვდა, რომ მას ინფარქტი დაემართა.

ქალმა მაშინვე უხმო მეგობრებს, რომლებმაც სასწრაფო დახმარება გამოიძახეს და თავად კი ტურისტის რეანიმირებას შეუდგნენ. მათ მამაკაცს ხელოვნური სუნთქვის პროცედურა და გულის არაპირდაპირი მასაჟი გაუკეთეს სასწრაფო დახმარების მისვლამდე. მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მას რამდენიმე ოპერაცია გაუკეთდა. ახლა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდება.

ერთ-ერთი მედდის მეგ გრინის თქმით კი, ის და მისი მეგობრები იმ ექსკურსიაზე წასვლას არ აპირებდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, სრულიად შემთხვევით, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გულ-სისხლძარღვთა სისტემის მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

სისხლის გამათხელებელი რეცეპტები

– აიღეთ არაქისის ნედლი ნაყოფი ნახევარ ჭიქა კანთან ერთად, მოათავსეთ ქილაში, დაასხით ძმარი და გააჩერეთ შვიდი დღე (ქილა მჭიდროდ უნდა იყოს თავდახურული). ყოველდღე, დილით და საღამოს, შეჭამეთ 10 ნაყოფი.

❖ ❖ ❖

– კუნელის ათი ნედლი ნაყოფი მოათავსეთ ჭურჭელში, დაუმატეთ 30 გრამი შაქარი, დაასხით ერთი ჭიქა წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10-15 წუთი. მიიღეთ დღეში ერთხელ კომპოტის სახით, შეჭამეთ ნაყოფი, დაყოლეთ მას ნახარში.

❖ ❖ ❖

– აიღეთ 10 გრამი გამხმარი კუნელის ყვავილი (ან ფოთლები), დაასხით ერთი ჭიქა წყალი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე 10 წუთი. გამოიყენეთ ყოველდღიურად. დილაობით მიიღეთ ჩაის მაგივრად.



სისხლის გასაწმენდი რეცეპტები

– აიღეთ 1 ჩაის ჭიქა ნატურალური თაფლი, 1 ჩაის ჭიქა კამის დანაყილი თესლი, 2 სუფრის კოვზი კატაბალახას (ვალერიანის) დაფქული ფესვები, დაასხით 2 ლიტრი ქაფქაფა, მდუღარე წყალი და ერთი დღე-ღამე გააჩერეთ თერმოსში. გაწურეთ და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი ნაყენი 20 წუთით ადრე ჭამამდე, ერთი თვის განმავლობაში. არ დაგავიწყდეთ – როგორც კი დაამთავრებთ პირველ ულუფას, მოამზადეთ ახალი.

❖ ❖ ❖

– 1 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ჭინჭარი ჩაყარეთ მინის ჭურჭელში, დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ თავი და 45 წუთი გააჩერეთ. გაწურეთ და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი ნაყენი 30 წუთით ადრე ჭამამდე, ერთი თვის განმავლობაში. ეს ნაყენი არამარტო წმენდს სისხლს, არამედ ნივთიერებათა ცვლასაც აწესრიგებს.

❖ ❖ ❖

– 1 სუფრის კოვზ გამხმარ, დაქუცმაცებულ ისლს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, 15 წუთით გააჩერეთ წყლის ორთქლზე. გაწურეთ და ჩაასხით მინის ჭურჭელში, თავი დაახურეთ. მიიღეთ 1-3 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში. ნაყენი შეინახეთ მაცივარში არაუმეტეს 2 დღე-ღამისა. უსიამოვნების შეგრძნების შემთხვევაში, შეწყვიტეთ მიღება.

❖ ❖ ❖

– 6 ჩაის ჭიქა წყალში 10 წუთი ნელ ცეცხლზე ადუღეთ 2 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული ოროვანდის ფესვი. დაუმატეთ 2 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული ჭინჭარი და ისევ ადუღეთ 10 წუთი ნელ ცეცხლზე. გადმოდგით და დაუმატეთ 2-2 ჩაის კოვზი წითელი სამყურა, ანწლის ყვავილი და ბაღის პიტნა. გააჩერეთ 5 წუთი თავდახურულ ჭურჭელში, გაწურეთ, დაუმატეთ ცოტა თაფლი. პირველ კვირაში მიიღეთ 0,5 ჩაის ჭიქა 3-ჯერ დღეში, 30 წუთით ადრე ჭამამდე. მეორე კვირაში – 0,5 ჩაის ჭიქა 2-ჯერ დღეში, მესამე კვირაში – 0,5 ჩაის ჭიქა ერთხელ დღეში. ეს ნახარში ასუფთავებს არამარტო სისხლს, არამედ კარგად მოქმედებს კუჭზე, ნერვულ სისტემასა და სისხლის მოძრაობაზე.

❖ ❖ ❖

– პირველ კვირას მიიღეთ 0,5 ჩაის ჭიქა თაფლდამატებული შტოშის წვენი 3-ჯერ დღეში, შემდეგ კვირაში 0,5 ჩაის ჭიქა 2-ჯერ დღეში, მესამე კვირაში – 0,5 ჩაის ჭიქა ერთხელ დღეში. რადგან შტოშის წვენი უვნებელია, შეგიძლიათ უფრო მეტიც მიიღოთ.

❖ ❖ ❖

– მეცნიერთა აზრის, სისხლის გამწმენდ უებარ საშუალებად მიიჩნევა წითელი პროდუქტები: ალუბალი, მაყვალი, ყურძენი, შტოში, ჭარხალი, თავხვეულა კომბოსტო.

სისხლში ქოლესტერინის შესამცირებლად

– აიღეთ 50 გრამი არაქისის მიწისზედა ნაწილი (ღერო, ფოთლები, ყვავილი), კარგად გარეცხეთ წყალში, დააქუცმაცეთ, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით ერთი ჭიქა წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10 წუთი. შემდეგ ნახარში გაწურეთ. დალიეთ დღეში ერთხელ, როგორც ჩაი.

❖ ❖ ❖

– თანაბარი რაოდენობის უნაბის ნაყოფისა და წვრილად დაკეპილი ნიახურის ძირების ნარევი მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 20-30 წუთი. გამოიყენეთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე საკვების მიღებისას. ჭამეთ უნაბის ნაყოფი და დაყოლეთ ნახარში, როგორც კომპოტი.

❖ ❖ ❖

– სისხლში ქოლესტერინის შესამცირებლად რეკომენდებულია ზღვის კომბოსტოს, ხახვის, სტაფილოს, კამისა და გოგრის რეგულარული ჭამა.

❖ ❖ ❖

– 1 ჩაის კოვზ ბაბუაწვერას ძირებსა და ყლორტებს დაასხით 1 ჭიქა ადუღებული წყალი, დააყენეთ 1 საათის განმავლობაში, გადაწურეთ და მიიღეთ 1 ჭიქა ჭამის წინ. ეს ნაერთი უვნებელია, მაგრამ იმისთვის, რომ ჩვეულებად არ გექცეთ, სვით ერთი კვირა და შემდეგ 2-3 დღე შეისვენეთ.

ჯონ კენედის დაღუპვიდან 60 წელი შესრულდა

აშშ-ის პრეზიდენტის, ჯონ კენედის დაღუპვიდან 60 წელი შესრულდა. კენედის მკვლელობაში დღემდე კითხვის ნიშნები რჩება. ბევრი ეჭვქვეშ აყენებს ვერსიას, რომ კენედი მარტოხელა მკვლელის მსხვერპლი გახდა.

– კენედის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო! ამ შეთქმულების ორგანიზატორი კი კუბის დიქტატორი ფიდელ კასტრო იყო! – წერს პუბლიცისტი იგორ ეფიმოვი.

კენედის დაღუპვის მე-60-ე წლისთავზე აშშ-ის ამჟამინდელმა ლიდერმა, ბაიდენმა კენედის ღვაწლი გაიხსენა. ბაიდენმა ხაზი გაუსვა, რომ კენედიმ აშშ-ს წარუშლელი ამაგი დასდო.

აშშ-მ ისლამისტ-ექსტრემისტებს დაარტყა

აშშ-მ ერაყში დაბანაკებულ ჰესბოლას ბაზებს დაარტყა. ამის თაობაზე იუწყება „ამერიკის ხმა“.

შედეგად, განადგურებულია ჰესბოლას მთავარი შტაბი და ყველა სამეთაური პუნქტი. დაიღუპა ათობით ბოევიკი.

პუტინს ნერვებმა უღალატა



პუტინმა რტრ-ს ინტერვიუ მისცა. მან განაცხადა, რომ უკრაინული სახელმწიფო უნდა მოისპოს. სხვანაირად რუსეთი მშვიდად ვერ იცხოვრებსო.

– თუ უკრაინული სახელმწფო არ იქნება, არც ისინი იქნებიან, ვინც თავს უკრაინელად თვლის! მშვიდობაც დამყარდება! – დაიყვირა პუტინმა.

პუტინი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა, გაიღიმა და განაგრძო:

– ცოტათი წავიხუმრე. ხუმრობა დღეს ერთადერთია, რაც ცხოვრებას გვიადვილებს!

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.466; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 10.224; არტილერია – 7.802; თვითმფრინავები – 323; განადგურებულია – 321800 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საიდუმლოებით მოცული ობიექტი მანქანას დაეცა და გახვრიტა

საფრანგეთში საიდუმლოებით მოცული, უცნობი ობიექტი ავტომობილს დაეცა და სახურავიც და მისი ფსკერიც გახვრიტა.

აღნიშნული ინციდენტი 20 ნოემბერს დილით სტრასბურგში მოხდა. ქალაქში ერთ-ერთი ქუჩიდან პოლიციაში დარეკეს და აცნობეს, რომ დაზიანებულ მანქანას ბოლი ასდიოდა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავებმა რენო კლიოს მარკის ავტომობილი ნახეს, რომელსაც სახურავზე დაახლოებით 50 სანტიმეტრის დიამეტრის ნახვრეტი აღენიშნებოდა. მალევე დადგინდა, რომ ამოუცნობმა საგანმა მანქანა თავიდან ბოლომდე გახვრიტა. მისი ძირი და საწვავის ავზიც დაზიანებული იყო. პოლიციელებმა ვარაუდი გამოთქვეს, რომ მანქანას მეტეორიტი დაეცა, თუმცა, მასში რაიმე საგანი ვერ აღმოაჩინეს. ამავე დროს კი იქვე ახლოს ნახეს ძალიან მსუბუქი კაკლის ზომის ქვა და დამწვარის მსგავსი ნაჭერი. სამართალდამცავებმა ივარაუდეს, რომ სწორედ ის იყო ჩამოვარდნილი კოსმოსური სხეული.

ბირთვულმა ფიზიკოსმა ტიმ გრეგორიმ, რომელსაც კონსულტაციისთვის მიმართეს, განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ქვა, სავარაუდოდ, მანქანას ასეთ დაზიანებებს ვერ მიაყენებდა.

– ასეთი დიდი ხვრელის მისაყენებლად უფრო მოზრდილი ქვაა საჭირო. მისი ქიმიური ანალიზი გვაჩვენებს, არის თუ არა ნაპოვნი ქვა მეტეორიტი, – განაცხადა მეცნიერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

საქართველო ოლიმპიური საგზურისთვის მეტოქეებს ელოდება

27 ნოემბერს, შვეიცარიის ქალაქ მიესში, ფიბა-ს პატრიკ ბაუმანის სახელობის კალათბურთის სახლში წილისყრა გაიმართება, რომლის შედეგადაც გავიგებთ, ვინ იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირში და სად ჩატარდება თამაშები. მსოფლიოს 24 ქვეყნის ნაკრები ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირზე დარჩენილი 4 საგზურისთვის იბრძოლებს. 4 საკვალიფიკაციო ტურნირი 4 სხვადასხვა ქვეყანაში, 2-დან 7 ივლისის ჩათვლით გაიმართება და თითოეულის გამარჯვებული 4 გუნდი მიიღებს ოლიმპიადის საგზურს.

შეგახსენებთ, რა პრინციპით შეირჩა 24 ნაკრები საკვალიფიკაციო ტურნირისთვის. 5 მათგანია 2023 წლის აგვისტოში გამართული წინასაკვალიფიკაციო ტურნირების გამარჯვებული ნაკრები (პოლონეთი, ხორვატია, კამერუნი, ბაჰრეინი და ბაჰამის კუნძულები). დავაზუსტებთ, რომ ოლიმპიადის წინასაკვალიფიკაციო ტურნირებში კონტინენტების მიხედვით მონაწილეობა მიიღეს იმ ნაკრებებმა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ. ფიბა-მ მსოფლიოზე ვერ მოხვედრილ გუნდებს დამატებითი შანსი მისცა, ოლიმპიადაზე გასავლელად ბრძოლა გაეგრძელებინათ.

მომდევნო კატეგორია გახლავთ ის საუკეთესო 19 ნაკრები, რომლებმაც 2023 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს და დაწესებული კვოტირებით ოლიმპიადის საგზური ვერ მიიღეს. აქაც დავაკონკრეტებთ, რომ კვოტირებით მსოფლიოზე ოლიმპიადის საგზურებს იღებდნენ კონტინენტების მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე გუნდები. ევროპისა და ამერიკის ორ-ორი, ხოლო აზიის, აფრიკის და ავსტრალია/ოკეანიის თითო საუკეთესო. ჯამში 7 გუნდი, რომლებიც არიან გერმანია, სერბეთი (ევროპიდან), აშშ, კანადა (ამერიკიდან), სამხრეთ სუდანი (აფრიკიდან), იაპონია (აზიიდან) და ავსტრალია (ავსტრალია/ოკეანეთიდან).

ფიბა-მ ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის 3 საგზური დამატებით გადასცა მსოფლიოს ჩემპიონატზე კონტინენტების მიხედვით (აფრიკის, ამერიკის და აზია/ოკეანიის) მეორე შედეგის მქონე გუნდებს – შესაბამისად ეგვიპტეს, პუერტო რიკოს და ახალ ზელანდიას. საქართველო შედის იმ 16 ნაკრებში, რომლებმაც ყველა ზემოთ ნახსენები კრიტერიუმის შესაბამისად განაწილების შემდეგ მსოფლიოზე ნაჩვენები შედეგით მიიღეს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის საგზური. შესაბამისად, მივიღეთ საკვალიფიკაციოს მონაწილე შემდეგი 24 ქვეყანა:

ეგვიპტე (აფრიკის საუკეთესო ნაკრები კვოტების მფლობელი გუნდების შემდეგ), პუერტო რიკო (ამერიკის საუკეთესო ნაკრები კვოტების მფლობელი გუნდების შემდეგ), ახალი ზელანდია (ოკეანეთის საუკეთესო ნაკრები კვოტების მფლობელი გუნდების შემდეგ), სლოვენია, ლატვია, იტალია, ლიეტუვა, ესპანეთი, მონტენეგრო, ბრაზილია, დომინიკის რესპუბლიკა, საბერძნეთი, საქართველო, ფინეთი, ლიბანი, ფილიპინები, მექსიკა, ანგოლა, კოტ დივუარი (საუკეთესო 16 ნაკრები ყველა კონტინენტიდან კვოტების მფლობელი გუნდების შემდეგ), კამერუნი (აფრიკის წინასაკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებული), ბაჰამები (ამერიკის წინსაკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებული), ბაჰრეინი (აზიის წინსაკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებული), პოლონეთი, ხორვატია (ევროპის წინსაკვალიფიკაციო ტურნირის გამარჯვებულები).

27 ნოემბრის წილისყრის შედეგად 24 გუნდი გაიყოფა 4 ნაწილად. თითოეული საკვალიფიკაციო ტურნირი ჩატარდება 2-დან 7 ივლისის ჩათვლით სხვადასხვა ქვეყანაში და თითოეულის გამარჯვებული მიიღებს ოლიმპიადის საგზურს. შესაბამისად, ერთ ტურნირში (ლოკაციაზე) თავს მოიყრის 6 ნაკრები, რომლებიც 27 ნოემბრის წილისყრის შედეგად 2 ჯგუფში გაიყოფიან. ერთი წრის შემდეგ თითოეული ჯგუფის 2-2 საუკეთესო ნახევარფინალში ჯვარედინად დაწყვილდება, ხოლო ფინალის მომგები ნაკრები ოლიმპიადის საგზურს მიიღებს.

27 ნოემბერს, ფიბა-ს კალათბურთის სახლში დაგეგმილ წილისყრას გაუძღვება წარსულში ნბა-ს ცნობილი კალათბურთელი, ლუოლ დენგი, რომელიც ამჟამად სამხრეთ სუდანის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. წილისყრას დაესწრება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა.

მოჭადრაკე ქალების წარუმატებელი ევროპა

2023 წლის ევროპის გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც მონტენეგროს ქალაქ ბუდვაში გაიმართა, დასრულდა.

ჩვენი ქალთა ნაკრები ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ ევროპირველობა აშკარად ჩააგდო და 10 ქულით მე-10 ადგილზე გავიდა. დასკვნით ტურში საქართველოს ნაკრებმა ბულგარეთთან 1,5:2,5 წააგო.

ჩემპიონი სწორედ ბულგარეთის ნაკრები (16 ქულა) გახდა, მეორე ადგილი აზერბაიჯანს (15) ერგო, ხოლო მესამეზე ფრანგები (12) გავიდნენ.

თუმცა, გარკვეულ დაფებზე პატარა წარმატებები გვქონდა: მესამე დაფაზე ჩემპიონატის მცირე ოქროს მედალი მერი არაბიძეს ერგო, ხოლო მე-5 დაფაზე სალომე მელიამ ბრინჯაო დაისაკუთრა.

ვიდრე ველოდით, იმაზე უკეთ ვაუთა ნაკრებმა იასპარეზა. ჩვენმა გუნდმა ბოლო ტურში ნიდერლანდებს მოუგო და 11 ქულით 6-12 ადგილები გაიყო, დამატებითი მაჩვენებლით კი, მე-11 იყო.

აქ 18 შესაძლებლობიდან 15-15 ქულა მოაგროვეს სერბეთმა და გერმანიამ. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლებით ოქროს მედლები სერბებმა დაისაკუთრეს. 13 ქულით მესამე იყო სომხეთის გუნდი.

ბაადურ ჯობავამ მესამე დაფაზე ოქროს გამოჰკრა ხელი.

ბითაძე და ორლანდო აღარ ხუმრობენ



ნბა-ში რეგულარულ სეზონში მორიგი მატჩები გაიმართა. გოგა ბითაძის ორლანდო შესანიშნავ მაგრად ათამაშდა და მოქმედ ჩემპიონს, დენვერ ნაგეთს 124:119 მოუგო.

ჩვენებური სასტარტო შემადგენლობაში იყო და თამაში გასული სეზონის საუკეთესო კალათბურთელის, ნიკოლა იოკიჩის წინააღმდეგ მოუწია. ბითაძემ პარკეტზე 31:36 წუთი გაატარა, რა დროშიც თავი 6 ქულას, 12 მოხსნას, 2 პასსა და 1 დაფარებას მოუყარა. ჩვენებურმა 5-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა, პასივში კი, ბურთის ერთხელ დაკარგვაა.

იოკიჩს 30 ქულით, 13 მოხსნითა და 12 პასით სამმაგი დუბლი ჰქონდა, მაგრამ საკუთარ გუნდს მაინც ვერ უშველა.

ორლანდო აღმოსავლეთ კონფერენციაში 10 მოგებითა და 5 მარცხით მე-3 ადგილზე აღზევდა, მომდევნო მატჩს კი, 24 ნოემბერს, ბოსტონ სელტიკსთან გამართავს.

საპირისპირო სიტუაციაშია სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონიო სფურსი, რომელმაც ზედიზედ მე-10 მატჩი წააგო. ქართველი კალათბურთელის გუპდი ამჯერად ლოს ანჯელეს კლიპერსთან დამარცხდა – 102:109.

მამუკელაშვილი განაცხადში კი იყო, მაგრამ პარკეტზე გასვლა არ მოუწია. გრეგ პოპოვიჩის გუნდს 3 მოგება და 12 მარცხი აქვს. ეს შედეგი კი, დასავლეთ კონფერენციაში ბოლო მაჩვენებელია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლუკა ლოჩოშვილი: აქ მოსახვედრად თავდაუზოგავი შრომაა საჭირო

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელ ლუკა ლოჩოშვილთან იტალიურ მედიაში ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ჩვენებური საინტერესო თემებზე საუბრობს.

– კრემონეზეში აგერ უკვე მეორე სეზონს ატარებ, თავს როგორ გრძნობ?

– მართლა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ ვთამაშობ. ყველაფერი მომწონს – დაწყებული გუნდით და დამთავრებული პერსონალით. ჩემთან მიმართებაში ისინი ყოველთვის გამოირჩევიან თავაზიანობითა და სითბოთი. კლუბის მეპატრონეთა მიზნებიც საკმაოდ ამბიციურია, რამაც ჩემს აქ ყოფნაზე კიდევ უფრო დიდი გავლენა მოახდინა.

– თანაგუნდელი, რომელთანაც განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა ჩამოგიყალიბდა?

– ყველასთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს. იტალიურსაც ვაუმჯობესებ, რაც მეხმარება, ყველასთან თამამად ვისაუბრო.

– ქალაქი კრემონა? განსაკუთრებით რა მოგწონს?

– ქალაქის ისტორიულ უბანში თავისუფალი დროის გატარება ძალიან მიყვარს. ხშირად მეუღლესთან ერთად მივდივარ, თუნდაც ჭიქა ყავა რომ დავლიოთ და დრო სასიამოვნოდ გავატაროთ.

– ელოდით, რომ სერია ბ ასეთი რთული იქნებოდა?

– უნდა ვაღიარო, რომ აქამდე სერია ბ-ს არ ვიცნობდი. გუნდიდან, ვისაც აქ თამაშის გამოცდილება ჰქონდა, მომაწოდა ინფორმაცია, მაგრამ დეტალურად აქ შევიგრძენი. ყველა შეხვედრა საკმაოდ რთულია და მეტოქეებიც ბოლომდე იბრძვიან. ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში ვართ, თუმცა, მწამს, ჩვენ შევძლებთ, რომ სასურველი შედეგი მივიღოთ. იმიტომ, რომ ძლიერი გუნდი ვართ. ამბიციების ნაკლებობას არ განვიცდით და სურვილიც დიდია, რომ გასული წლის შედეგი გავიმეოროთ და სერია ა-ში დავბრუნდეთ.

– გასულ წელს სერია ა-ში უწყვეტად ითამაშეთ. ემოციურად როგორ გახსენდებათ ეს პერიოდი?

– მსგავსი დონის ჩემპიონატში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის გამოწვევაა. მატჩების დონე ძალიან მაღალია. ამ გარემოში მოსახვედრად მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო. ჩემი მიზანიც ეს არის – კვლავ დავუბრუნდე ამ მაღალი დონის სათამაშო გარემოს და საერთაშორისო ტურნირებზეც შევძლო ასპარეზობა.

– საქართველოს ნაკრების შემადგენლობაშიც თანდათან წამყვანი ფეხბურთელი ხდები.

– საკუთარი ქვეყნის სახელით ასპარეზობა ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნება და პატივია. ძალიან მიხარია, რომ ეს შესაძლებლობა მომეცა. ახალგაზრდებისგან შემდგარი გუნდი ვართ და მჯერა, მომავალში ნებისმიერი ნაკრებისთვის უხერხული მეტოქე ვიქნებით. ჩემი მიზანია, საქართველოს ნაკრებთან ერთად დიდ საერთაშორისო ტურნირებზე შევძლო ასპარეზობა.

– საქართველოსა და იტალიას შორის ცხოვრების სტილის მხრივ რა განსხვავება აღმოაჩინე?

– ძალიან დიდი განსხვავებაა, თუნდაც მენტალური თვალსაზრისით, მაგრამ არის დეტალები, რომელიც ორივე ქვეყანას საერთო აქვს. ჩვენთანაც ძალიან გახსნილი გულის ადამიანები არიან, სულ მზად არიან, რომ დაგეხმარონ. სტუმართმოყვარეობა არც ჩვენ გვეშლება. ასევე კერძები – იტალიური სამზარეულო ისევე ძალიან მომწონს, როგორც ქართული. ხანდახან სამეგობროს ქართულ ღვინოს ვჩუქნი და ისინი ამას ძალიან აფასებენ.

– პროფესიულ დონეზე თამაშის გამოცდილება საქართველოში, სლოვაკეთსა და ავსტრიაში დაგიგროვდა. ყველაზე მეტად სასიამოვნოდ რომელი ეპიზოდი გახსენდება?

– არ არის მხოლოდ ერთი რამ, რაც სასიამოვნოდ მახსენდება. საბედნიეროდ, ჩემი პროფესიული კარიერის განმავლობაში ძალიან ბევრი სასიამოვნო ეპიზოდი მომხდარა. მათ შორის, პირველი, რაც შემიძლია გავიხსენო, არის ფიფას ფეარ-ფლეის პრემიით დაჯილდოება.

ასეთი ღირსეული პრემიის მოგება ნამდვილად დასაფასებელია. თუმცა, ფეხბურთში საუკეთესო ეპიზოდებად მოგებული თასები და ჩემპიონატები მიიჩნევა. ვიმედოვნებ, კრემონეზესთან ერთად მეც შევძლებ ამას. მესიამოვნებოდა, რომ კლუბის ისტორიის ნაწილი გავხდე.

– კრემონეზეს ქომაგებზე რა აზრი ჩამოგიყალიბდა?

– მათი ქომაგობა მართლა ძალიან მომწონს. პირველივე დღიდან მიმიღეს. გასულ წელს, მიუხედავად უამრავი პრობლემებისა, ისინი ყოველთვის ჩვენ გვერდით იდგნენ და არასდროს ნებდებოდნენ. ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათი თანადგომა კიდევ უფრო მეტ სტიმულს გვაძლევს. მათ სითბოს ყოველთვის ვგრძნობ და ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ბედნიერი ვარ აქ ყოფნით.

– პრიმავერაში კრემონეზეს შემადგენლობაში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი, დაჩი ლორთქიფანიძე თამაშობს. მასთან თუ გაქვს ურთიერთობა?

– როცა აქ სათამაშოდ გადმოვედი, დაჩის არ ვიცნობდი. ამ ერთ წელიწადში უკვე დავმეგობრდით და მისი გაცნობა სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. დაჩი 18 წლისაა, მაგრამ უკვე შემდგარი პიროვნებაა, ყველაფერს პროფესიულად უდგება. დარწმუნებული ვარ, დიდი მომავალი ექნება, თუნდაც კრემონეზეს შემადგენლობაში, თუმცა, მან ამისთვის შრომა უნდა გააგრძელოს.

„კვარაცხელიას საქმის“ დამნაშავე ბოდიშს იხდის

ბოლო დროის ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი შეცდომის ავტორი საქართველოს ნაკრების მენეჯერი გიორგი კაციტაძე გამოდგა, ვინაც სოციალურ ქსელში განცხადება გამოაქვეყნა და ბოდიშს იხდის.

აი, რას წერს კაციტაძე:

– პირველ რიგში, ბოდიშს ვუხდი გულშემატკივარს ჩემი შეცდომისთვის და არ შემეძლო, პირადად არ მეთქვა ეს საჯაროდ. 2011 წლიდან დღემდე, რაც ეროვნული გუნდების სტრუქტურაში ვმუშაობ, პირველად და ყველაზე მნიშვნელოვან დროს დავუშვი ისეთი შეცდომა, რის გამოც თავს საშინლად ვგრძნობ და რეალობად მიღება ახლაც მიჭირს.

იმდენად დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ჯგუფური ეტაპის დასრულებისთანავე ყველა ყვითელი ბარათი უქმდებოდა, რომ ყველა ჩემს სისწორეში დავარწმუნე, არადა, არაერთხელ მკითხეს. თავის დაზღვევის მიზნით, რეგულაციის აღნიშნული პუნქტები არ გადავამოწმე და ნაკრების მწვრთნელები და ფეხბურთელები შეცდომაში შევიყვანე.

ამ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში დაშვებული შეცდომისთვის, პირადად მე, ვუხდი ბოდიშს ნაკრების ფეხბურთელებსა და მწვრთნელთა შტაბს, ფეხბურთის ფედერაციის თითოეულ თანამშრომელს, რომელიც საერთო მიზნისკენ მიმავალ გზაზე, ამ გუნდის წარმატებისთვის თავდაუზოგავად შრომობს.

იმ მიზეზით, რომ ამ მნიშვნელოვან დროს, გუნდში არსებულ ერთიანობას ზიანი არ მიადგეს, საერთო გადაწყვეტილებით, გუნდთან ერთად დავრჩები. მზად ვარ, რომ ჩვენს გუნდს მარტის მატჩებში გვერდით დავუდგე, საერთო მიზნის მიღწევაში ჩემი წვლილი შევიტანო და ამით ვეცადო იმ შეცდომის გამოსწორებას, რითიც ჩემი გუნდი და ჩემი ქვეყნის ნაკრები დავაზარალე. კიდევ ერთხელ დიდ ბოდიშს გიხდით ყველას და ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო.

თსუ-მ ევროტურნირი დაასრულა

თსუ-ვახეზე 81:94
(16:16; 21:32; 14:21; 30:25)

საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის მოქმედმა ჩემპიონმა თსუ-მ ევროტურნირზე გამოსვლა დაასრულა. ფიბა ევროპის თასის ჯგუფურ ეტაპზე ბოლო ტურის მატჩში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი იტალიურ ვარეზეს შეხვდა და 81:94 დამარცხდა. შედეგად, თსუ-ს მონაგარი პირველ ევროპულ ტურნირზე 1 მოგება და 5 მარცხია.

სათქმელია, რომ ამ 5 მატჩიდან ქართულმა გუნდმა 3 ბოლო წამებზე, დაძაბულ ბრძოლაში – შესაბამისად 1, 4 და 5 ქულით წააგო. თუმცა, იყო ჩავარდნებიც. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჯგუფში პირველ ადგილზე გასულ გიოტინგენთან თსუ-მ გერმანიაშიც ღირსეულად, ბოლომდე იბრძოლა და თბილისშიც. ორივე ჯერზე უნივერსიტეტელები გამარჯვებას იმსახურებდნენ, მაგრამ ბოლო წამებზე ფორტუნა მეტოქის მხარეზე იყო.

იტალიური ვარეზე გახლდათ ერთადერთი გუნდი, რომელთანაც თსუ-ს შანსი არ ჰქონია. ვარეზელებთან უნივერსიტეტის გუნდმა იტალიაში 26 ქულით წააგო, შინ კი, 13 ქულით დათმო. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც თსუ-მ იტალიაში წააგო, შორი სროლები იყო. ასე იყო თბილისშიც. ვარეზემ 16 სამიანი ჩააგდო, ხოლო თსუ-მ – 8.

პირველი პერიოდი, რომელშიც უმეტესად თსუ ლიდერობდა, ფრედ დასრულდა – 16:16. მეორე მეოთხედის პირველი ნახევარიც თანაბარ ბრძოლაში გაგრძელდა და სტუმრებმა ტაიმის მიწურულისკენ მოახერხეს გალიდერება, რაც შორი სროლებიც დამსახურება გახლდათ. დიდ შესვენებაზე ვარეზე 11-ქულიანი უპირატესობით გავიდა, რაც თსუ-ს მხრიდან კარდინალურ ცვლილებებს ითხოვდა.

მესამე პერიოდში ცვლილებები ვერ ვიხილეთ. თსუ-მ ვერ მოახერხა პერიმეტრის საიმედოდ დაცვა და ხშირად ეპარებოდა მეტოქის სწრაფი შეტევები. შედეგად სხვაობა იზრდებოდა და მესამე ათწუთეულის ბოლოს 18 ქულას მიაღწია. ბოლო პერიოდის დასაწყისში იმედი ჩაისახა, როცა კახა ჯინჭარაძემ მიჯრით 2 სამქულიანი ჩააგდო და ჩამორჩენა 12 ქულამდე შეამცირა. სამწუხაროდ, ეს აღმოჩნდა მაქსიმუმი – თსუ დარჩენილ დროში 12 ქულაზე ახლოს მეტოქესთან ვეღარ მივიდა. ჯინჭარაძემ ბოლო პერიოდში 13 ქულა ჩააგდო, მაგრამ ეს წარმატებას არ ეყო. შეხვედრა ისე მივიდა დასასრულამდე, უნივერსიტეტელების ცდამ, რამე შეეცვალათ, ნაყოფი ვერ გამოიღო. იტალიურმა კლუბმა გამარჯვება მოიპოვა და მეორე ადგილის დაკავების მიუხედავად, ჯგუფიდან გავიდა.

ჩვენს გუნდში ყველაზე შედეგიანი რატი ანდრონიკაშვილი გახლდათ 20 ქულით, 8 პასით, 7 ჩაჭრითა და 3 მოხსნით. ჯინჭარაძემ 18 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა, ნიკოლა ვუიოვიჩი კი მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლის ავტორი გახდა – 10 ქულა, 13 მოხსნა. ალექსანდრე ფევაძის ანგარიშზე 12 ქულა და 5 მოხსნა დაგროვდა.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში კერავნოსმა კვიპროსში გერმანულ გიოტინგენს უმასპინძლა და 69:102 განადგურდა. შედეგად, ვარეზემ და გიოტინგენმა ჯგუფი 5-5 მოგებითა და თითო წაგებით დაასრულეს. კერავნოსსა და თსუ-ს საპირისპირო შედეგები ჰქონდათ თითო მოგება და ხუთი მარცხი. ურთიერთშეხვედრების ხარჯზე მესამე ადგილი კერავნოსმა დაიკავა, რომელმაც თბილისში 3 ქულით წააგო, კვიპროსში კი 5-ით იმარჯვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. ფრანგი მათემატიკოსი, ალგებრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 3. ხმის ჩანაწერების საცავი; 4. მხარე ავსტრიაში; 7. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 12. ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 17. საქართველოს ეროვნული გმირი; 20. რადიაქტივობის საზომი ერთეული.

თარაზულად: 5. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი შინაარსი; 6. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 8. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 10. კუთხე საქართველოში; 11. კომბინაცია პოკერში; 13. მიწის თხილი; 16. დუქნის დახლიდარი; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტებიანი თლილი ქვა; 21. ვაჭართა გაერთიანება ძველად კაპიტალის რაოდენობის მიხედვით; 22. ფოლადის კარკასი რკინა-ბეტონის კონსტრუქციაში; 23. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ლაკმუსი; 2. ბადაგი; 3. ჩუღურეთი; 4. ნიკოტინი; 7. ტიტესტერი; 8. მაშარაბი; 12. ბელფასტი; 14. საფერავი; 16. ენერგია; 17. ავატარი; 19. ყავა; 20. შინი.

თარაზულად: 5. ბასტილია; 6. ბრუქსიზმი; 9. ზუროსი; 10. გიტარა; 11. აშარი; 13. ქერჩი; 15. ჯამილე; 18. შნეკი; 21. კანდელაკი; 22. გარინჩა; 23. მანტისა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პოტენცია; 2. ბენდი; 3. რედისონი; 4. ფიშერი; 7. ფლუსი; 9. გროგი; 12. არითმეტიკა; 14. ჯორჯია; 15. ანოქსია; 17. კაქტუსი; 20. მუაში.

თარაზულად: 5. ფოლკნერი; 6. იმერეთი; 8. გუდვილი; 10. კოსტიოლი; 11. მიზერი; 13. ფაიზერი; 16. სიმენონი; 18. პარმა; 19. ჟოკეი; 21. ტუნისი; 22. მიცუბიში; 23. პარსეკი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

24 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7122	ევრო — 2.9558
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3965	100 რუსული რუბლი — 3.0721

ამინდის პროგნოზი 24 [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავი: „დარწმუნებული ვარ, უფრო ძლიერი დავბრუნდები“

გავიმ თავის სერიოზულ ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის უფრო ძლიერი დაბრუნდება და მას გამოწვევების არ ეშინია. გავის თქმით, მისთვის ყველაზე რთული მატჩების ტრიბუნიდან ცქერა იქნება:

– რთულია, როდესაც შენს პარტნიორებს ვერ ეხმარები, მაგრამ მესმის, ეს არის რეალობა, რომელსაც ვერ შეცვლი. მოედანზე უფრო ძლიერი დავბრუნდები და ეს მაშინ მოხდება, როცა ტრავმას ბოლომდე მოვიშუშებ. არ მინდა, რომ ვიჩქარო და ამით მდგომარეობა უფრო გავართულო.

ჟოზე მოურინიო: „არ არის გამორიცხული, რომ საუდის არაბეთში ვიმუშაო“



რომას მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ თქვა, რომ მომავალში ის არ გამორიცხავს საუდის არაბეთში მუშაობას და მისთვის ეს ქვეყანა საინტერესოა, თუმცა, ჯერჯერობით, ის მხოლოდ რომაზე ფიქრობს:

– ამჟამად რომაში ვმუშაობ და სხვა გუნდები არ მაინტერესებს, მაგრამ მომავალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და საუდის არაბეთში მუშაობა ჩემთვის საინტერესოა, რადგან იქ ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს.

ჩელსის კვარაცხელიას შეძენა სურს

ლონდონის ჩელსი სერიოზულად არის დაინტერესებული ნაპოლის შემტევის ხვიჩა კვარაცხელიას ყიდვით და ლონდონელები მზად არიან, ამ ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაიხადონ.

სწორედ ამ თანხად აფასებს ნაპოლი ხვიჩას. კვარაცხელიას ნაპოლისთან 5-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს და გუნდის პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა თქვა, რომ ისინი ქართველი შემტევის გაყიდვას არ აპირებენ. ჩელსის გარდა, კვარაცხელიას შეძენით ბაიერნიც არის დაინტერესებული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მეთევზემ ორფერიანი ჰერმაფროდიტი კიბორჩხალა დაიჭირა

აშშ-ის მკვიდრმა მამაკაცმა უიშვიათესი, ორმაგი შეფერილობის მქონე ჰერმაფროდიტი კიბორჩხალა დაიჭირა.

ბედმა მენის შტატის მკვიდრ მეთევზე ჯეიკობ ნოულზს გაუღიმა, რომელიც სწორედ კიბორჩხალებზე თევზაობის სპეციალისტია. მან სოციალურ ქსელ ტიკტოკში წარმოადგინა კიბორჩხალა, რომელიც სანახევროდ ლურჯი ფერის იყო. გარდა ამისა, ნოულზმა განაცხადა, რომ მის მიერ დაჭერილ კიბორჩხალას ჰქონდა როგორც მამრის, ისე მდედრის რეპროდუქტიული ორგანოები.

ამერიკელი მეთევზის თქმით, ზღვის არსების ლურჯი მხარე მამრობითი აღმოჩნდა, ხოლო ჩვეულებრივი მდედრობითი. მენის შტატის უნივერსიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორფერიანი კიბორჩხალის დაჭერის შანსი დაახლოებით ერთი 50 მილიონთანაა.

მოგვიანებით, ნოულზმა წარმოადგინა კიბორჩხალასთვის, რომელსაც სახელად ბოუი დაარქვა, საკუთარ სახლში წყალქვეშ მოწყობილი საბინადრო ვოლიერი და იქვე აღნიშნა, რომ მან უკვე მიმართა ოკეანარიუმებს და სამეცნიერო ორგანიზაციებს უიშვიათესი ცხოველის „შვილების“ წინადადებით.

წუნდებული საფოსტო მარკა ორ მილიონ დოლარად გაიყიდა

უიშვიათესი საფოსტო მარკა აუქციონზე რეკორდულ თანხად – 2 მილიონ დოლარად გაიყიდა.

აუქციონზე ვაჭრობის შედეგად გაიყიდა ერთ-ერთი „გადატრიალებული ჯენი“, წუნდებული მარკა თვითმფრინავ ჩურტისს JN-4-ის გამოსახულებით, რომელიც აშშ-ში 1918 წელს გამოუშვეს. გამომცემლობითი შეცდომის გამო თვითმფრინავი მასზე ამობრუნებულია დაბეჭდილი. გაყიდვაში სულ 100 ცალი წუნდებული მარკა იქნა გამოშვებული და მას შემდეგ კოლექციონერები მასზე ნადირობენ.

აუქციონის გამარჯვებული კი გახდა 76 წლის ნიუიორკელი ფილატელისტი ჩარლზ ჰეკი, რომელსაც უკვე ჰქონდა ერთი ასეთი წუნდებული მარკა და რომელიც მან დაახლოვებით 20 წლის წინ 300 ათას დოლარად შეიძინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ბოლო სეზონი“ – ქართულ ფეხბურთს სერიალი მიეძღვნა

„ბოლო სეზონი“ – ასე ჰქვია პირველ სპორტულ დრამას ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში, რომელიც ქართულ ფეხბურთს ეძღვნება.

სერიალი მოგვითხრობს „კრისტალბეთ ეროვნულ ლიგა 2“-ში მოასპარეზე კლუბ „მიმინო 1919-ზე“, რომელიც ჩემპიონატში ბოლო სეზონს ატარებს.

ფილმში მონაწილეობენ რეზო ჩხიკვიშვილი, დავით დვალიშვილი, დუტა სხირტლაძე, თემიკო ჭიჭინაძე, ჯანო იზორია, დიმა ობოლაძე, გიორგი გიორგანაშვილი, იგივე ბახალა...

ფილმის რეჟისორი ვაკო კირკიტაძეა. სერიალის პრემიერა ინტერნეტში გაიმართა და პირველი სეზონის პირველივე სერიას დიდი გამოხმაურება და მაყურებლის მოწონება ხვდა წილად.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„შაშვი, შაშვი, მაყვალი“ პარიზში აჩვენეს

რეჟისორ ელენე ნავერიანის ფილმი „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ საფრანგეთის დედაქალაქში აჩვენეს.

მწერალ თამთა მელაშვილის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით გადაღებული მხატვრული ფილმი არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია. ფილმში მთავარ როლს მსახიობი ეკა ჩავლეიშვილი ასრულებს, რომელმაც მრავალი ჯილდო და პრემია დაიმსახურა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

„შაშვი, შაშვი, მაყვალი“ პარიზის შემდეგ მოგზაურობას ევროპის სხვა ქალაქებში განაგრძობს.

თემურ ჩხეიძის დღიურები გამოცემულია

რეჟისორ თემურ ჩხეიძის დღიურები გამოცემულია. კრებული ხელოვანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიბეჭდა.

მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე წიგნის „თემურ ჩხეიძე – დღიურები“ პრეზენტაცია გაიმართა. საღამოს რეჟისორის ოჯახის წევრები, კოლეგები, მეგობრები, სტუდენტები ესწრებოდნენ. წიგნის ავტორი აკაკი კუჭუხიძეა, დიზაინი ბესიკ დანელიას ეკუთვნის.

კრებულში რეჟისორის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ამბებია გაერთიანებული.

გიორგი ოვაშვილი 60 წლის გახდა

რეჟისორი გიორგი ოვაშვილი იუბილარია. მას 60 წელი შეუსრულდა. არაერთი გახმარებული ფილმის რეჟისორს, საკუთარი თავი კინოს გარდა ვერსად წარმოუდგენია. მისი შემოქმედება სავსეა მრავალი საინტერესო და წარმატებული პროექტით.

მისი სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი „გაღმა ნაპირი“ ყველასთვის განსაკუთრებულად შთამბეჭდავი და დაუვიწყარი აღმოჩნდა. ფილმმა მონაწილეობა მიიღო 80-ზე მეტ საერთაშორისო კინოფესტივალში და 50-მდე ჯილდო მოიპოვა.

„გაღმა ნაპირის“ შემდეგ იუბილარმა რეჟისორმა გადაიღო ფილმი „სიმინდის კუნძული“, რომელიც ასევე მრავალი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი გახდა.

გიორგი ოვაშვილის ტრილოგიის დასკვნითი ფილმი აღმოჩნდა სრულმეტრაჟიანი „ხიბულა“, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ბოლო პერიოდს მოიცავს.

რეჟისორის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია „მშვენიერი ელენე“, რომელმაც არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე იმოგზაურა. როგორც წესი, გიორგი ოვაშვილი თავად არის საკუთარი ფილმების სცენარის ავტორი და პროდიუსერი.

ნინო ჩხეიძემ ახალი ალბომი წარადგინა

მომღერალმა ნინო ჩხეიძემ ახალი ალბომი ჩაწერა და ის ერთგულ მსმენელს წარუდგინა.

„სანამ დროა“ – ასე ჰქვია ალბომს, რომელშიც 2023 წლის რჩეული 11 სიმღერაა შესული. მსმენელთა უმრავლესობამ მომღერლის სიმღერები მოიწონა და ბევრი დადებითი კომენტარითაც დააჯილდოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თეატრი ლონდონში, სადაც იდგმებოდა უილიამ შექსპირის ტრაგედიები; 2. თიხის ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 3. ქართველი ფეხბურთელი ძმების გვარი; 4. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ტვირთის უწყვეტად გადამტანი მოწყობილობა საწარმოში; 8. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. პატარა ქირურგიული დანა; 14. ქართველი კერამიკოსი, მხატვარი ქალი; 16. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების ერთდროული დაქვეითება, რომელსაც თან სდევს გონების დაკარგვა; 17. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 19. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 20. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში.

თარაზულად: 5. ჩეჩენთა და ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 6. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ტყის ვაშლი; 10. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 11. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სადაზღვევო კომპანია; 13. კანიონი ხონის რაიონში; 15. ქართველი მგოსანი; 18. მდინარეზე, ხეობაზე გადებულ ბაგირებზე დაკიდებული ხიდი; 21. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 22. მარგალიტის ყელსაბამი; 23. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა